საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 66 (610) ოთხშაბათი, 31 მარტი, 1993 წელი. ფასი 5 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

გუშინ პარლამენტში

30 მარტს საქართველოს პარლამენტს მოადგა გაგრის ზონიდან ლტოლვილი მოსახლეობა, რომელიც გადამწყვეტი ზომების მიღებას მოითხოვდა გაგრის ზონაში და საერთოდ გუმისთას იქითა მხარეს დარჩენილი ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ აფხაზ სეპარატისტთა მიერ ჩადენილი მკვლელობებისა და სისასტიკის ფაქტების გამო. ამიტომ ამ თემის ირგვლივ ცხარე საუბარი გაიმართა. პარლამენტარებმა სეპარატისტთა მიერ ჩადენილი სისასტიკის მრავალი ფაქტი მოიყვანეს. ამაღელვებელი იყო აფხაზი ქალბატონი პარლამენტარის ადა მარშანიას გამოსვლა. „მე არ მინდა დავიჯერო, რომ ჩემი თანამემამულენი — აფხაზები სასტიკად ექცევიან გუმისთას იქით დარჩენილ ქართველ მშვიდობიან მოსახლეობას, — თქვა ადა მარშანიამ, — მაგრამ იქითა მხრიდან მოსული მათ მიერ ჩადენილი ფაქტები, სამწუხაროდ, სიმართლეა. ამიტომ მე რუსულ ენაზე მინდა მივმართო გუდაუთაში მყოფ ლიდერებს, — განაგრძო პარლამენტარმა, — რომ ნუ დაუჯერებენ ხმებს, თითქოს ქართველები აქეთ მხარეს ასევე ექცევიან დარჩენილ აფხაზ მოსახლეობას. მე ვადასტურებ და ვაცხადებ, რომ აფხაზებს აქეთა მხარეს არავინ არაფერს არ ერჩის და არ ხვრეტს. ასეთი ფაქტი არც ყოფილა და არც გამიგონია. მოგიწოდებთ თქვენც, რომ შეწყვიტოთ ასეთი ქმედება; პირდაპირ მიკვირს, როგორ გძინავთ ღამე ამის ჩამდენთ", — თქვა ადა მარშანიამ.

პარლამენტის სხდომაზე ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვიდა ბატონი ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც კერძოდ თქვა: გუმისთას იქითა მხრიდან ჩვენი მოსახლეობის გამოყვანის პროცესი დაწყებულია და ეს პროცესი მოსახლეობის გაცვლის ხასიათს ატარებდა. თუ მას გავაგრძელებთ, მას მხოლოდ იგივე ხასიათი უნდა ჰქონდეს. თუკი გუდაუთის ადმინისტრაციის ჯგუფი წინ აღუდგა ამ საქმეს, ცხადია, ვერაფერს გავაკეთებთ. მოსახლეობის გაცვლის პროცესი შეაჩერა სოხუმის ავანტიურამ, შეწყდა ჩვენი კონტაქტები იმ ხალხთან, რომლებიც მასში იყვნენ ჩაბმული. ხვალ საქართველოს თავდაცვის საბჭო განიხილავს ამ საკითხს და ჩვენ შევალთ წინადადებით, რომ ბატონი კავსაძე სპეციალისტებთან ერთად ჩავიდეს იქ და პრაქტიკულ შედეგებს მიაღწიოს. ეს ჯგუფი გუდაუთის მხარეს უნდა დაუკავშირდეს. მოკლე დროში ამ პროცესის დაჩქარება მხოლოდ მოსახლეობის გაცვლით არის შესაძლებელი.

სახალხო დიპლომატიის ძალა...

როგორც საინფორმაციო-სააგენტო ცენტრი „აისი" იუწყება, ორივე დაპირისპირებული მხარის მეომრები აფხაზეთში საფუძველს უყრიან ნელ-ნელა იმ პროცესს, რომლის განხორციელება ჯერჯერობით ვერ შეძლეს, ან არ მოისურვეს პოლიტიკოსებმა.

როგორც უტყუარი წყაროებიდან გახდა ცნობილი, როგორც გუმისთას, ისე ოჩამჩირის დაპირისპირების ხაზებზე აღინიშნა მოქიშპე მხარეთა მებრძოლებს შორის მოლაპარაკების ცალკეული შემთხვევები. საგულისხმოა, რომ აფხაზი მეომრები ამ მოლაპარაკებაში იბმებიან თავიანთი შეურიგებელი პოლიტიკური ხელმძღვანელების ნების საწინააღმდეგოდ. შეხვედრებზე ძირითადად გამოთქვამენ აზრს, რომ უაზრობაა ამ ომის გაგრძელება. იმედი ვიქონიოთ, რომ რიგითი მებრძოლები უახლოეს მომავალში გავლენას მოახდენენ პოლიტიკოსებზეც.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

საქართველოს პარლამენტის სადაგი დღეები

ორად გაყოფილი საქართველოს ორი პასუხი

პარლამენტის გუშინდელი სხდომა ბატონ თემურ ყორყოლიანის წინადადებით დაიწყო: თურმე საკონსტიტუციო კომისიაში, რომლის შემადგენლობის დამტკიცებაზე წინა სხდომაზე საკმაოდ დიდი დრო დაიხარჯა, გამორჩენიათ ერთი კვალიფიციური იურისტი ვალერი გელბახიანი და სთხოვა პარლამენტს მისი კომისიაში შეყვანის თანხმობა. ესეც კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ პარლამენტი ვერა და ვერ მიეჩვია ყველა საკითხის წინასწარ გამოწვლილვით დამუშავებას და მხოლოდ ამის შემდეგ სხდომაზე დასამტკიცებლად გამოტანას. ალბათ სწორედ ამით გამოწვეული თვით პარლამენტართა შინაგანი პროტესტი გახდა ბატონ ყორყოლიანის წინადადების უარყოფის მიზეზი და არა დასახელებული პიროვნებისადმი უნდობლობა.

შემდეგი საკითხი — „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან განათლების სისტემის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო ობიექტების ამოღების შესახებ", — რომელზეც მოხსენებით გამოვიდა ბატონი ზურაბ შენგელია, დიდი დებატების შემდეგ გადაიდო იმ დრომდე, როდესაც ამ საკითხთან დაკავშირებულ ყველა პიროვნებას — განათლების მინისტრს, მინისტრთა კაბინეტის წევრებს და სხვა შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებს მოიწვევენ განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

იმავე მიზეზით გადაიდო მესამე საკითხის — „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან კულტურის სფეროს ობიექტების გამოყოფის შესახებ" — განხილვა.

შემდეგ სხდომაზე განცხადებისათვის სიტყვა ითხოვა ბატონმა რეზო ქეიშვილმა, რომელმაც თქვა, რომ ზუგდიდში გამართულ მიტინგზე პროვოკაციულ გამოსვლებს პასუხი უნდა გაეცეს, რომ პარლამენტმა უნდა იმსჯელოს ამაზე.

პარლამენტმა ამ საკითხზე მსჯელობა დღის ბოლოსათვის გადადო.

შესვენებაზე ვთხოვე ზოგიერთი პარტიის წარმომადგენელ პარლამენტის წევრს კომენტარი გაეკეთებინა მიტინგზე ლოთი ქობალიას ნათქვამისათვის: რომ მათი „შეიარაღებული ფორმირებები არ ჩაერევიან აფხაზეთის კონფლიქტში და არ მიიღებენ მონაწილეობას საომარ მოქმედებაში მანამდე, ვიდრე არ გადადგება ე. შევარდნაძე და მისი მთავრობა".

ირინე სარიშვილი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია): ჩემთვის ლოთი ქობალიას ეს განცხადება მოულოდნელი არ ყოფილა. სამწუხარო, რასაკვირველია, არის, მოულოდნელი კი — არა. ადრეც ვთქვი ერთხელ და ახლაც გავიმეორებ, რომ ძალზე მეეჭვება — ერთ მშვენიერ დღეს ამ ორმა პიროვნებამ — თენგიზ კიტოვანმა და ლოთი ქობალიამ ერთდროულად გადაწყვიტონ სიმართლის თქმა.

ჩემი აზრით, უმძიმესი შეცდომა თავიდან იქნა დაშვებული, — შეიძლება ეს შეცდომა გარდუვალიც იყო, — როდესაც ლოთი ქობალია ვაქციეთ, ასე ვთქვათ, მხარედ. მან მართლა დაიჯერა, რომ აქვს პოლიტიკური ანალიზის უნარი, თავის თავი პოლიტიკურ მოღვაწედ წარმოუდგენია და, ამდენად, თავს უფლებას აძლევს ილაპარაკოს როგორც ერთ-ერთმა მხარემ.

რაც შეეხება მოარულ მითს, რომ ლოთი ქობალიას სამეგრელოში მაღალი რეიტინგი აქვს, სრული უაზრობაა. თუ რეიტინგში შიშის ფაქტორს ვიგულისხმებთ, მაშინ მოსახლეობას ქობალიასი კი არა, საერთოდ ყველა შეიარაღებული ბანდისა ეშინია. ამით ყველა ქვეყნის ხალხი ერთმანეთს ჰგავს.

სამწუხარო ის არის, რომ დღევანდელი ხელისუფლება სამეგრელოს მოსახლეობას ვერ იცავს იქ მოთარეშე ბანდებისაგან. ეს უნდა აღიაროს ხელისუფლებამ. ხალხმა რეალური ძალა ქობალიას რაზმში ნახა და რა გასაკვირია, რომ ამ უკანასკნელმა იქ გავლენა მოიპოვა. ჩვენ რომ დაგვეცვა სამეგრელოს მოსახლეობა, იგი ჩვენი მადლიერი დარჩებოდა. თუმცაღა, საკითხს მეორე მხარეც აქვს: ხელისუფლებას კონფრონტაციაზე წასვლა არ უნდა, მით უმეტეს ახლა, როდესაც ქვეყანა ომშია ჩათრეული. ამით კი ისევ მოსახლეობა ზარალდება.

მე მაინც მგონია, რომ ჩვენ ზედმეტ ყურადღებას ვუთმობთ ბანდებს. რა მნიშვნელობა აქვს, ვის მხარეზე იქნება ის. ბანდა ბანდაა და მას ანგარიში არ უნდა გაეწიოს. ერთიანობის აუცილებლობაც მესმის, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამაზე საუბარს იმასთან, ვისაც სულ ერთია ვერაფერს შეასმენ. ეს დროის და ხალხის კარგვაა მხოლოდ. და ერთიც: თავდაცვის მინისტრი თვითონ არ უნდა წასულიყო, ასე ვთქვათ, მოლაპარაკებაზე ლოთი ქობალიასთან და მისთანებთან. ასეთ რამეებზე მინისტრმა ცოტა მეტი უნდა იფიქროს.

ვახტანგ ძაბირაძე (რესპუბლიკური პარტია): სამწუხაროდ, ლოთი ქობალიას მერყეობა პირველი არ არის. თუ მის საქციელს პოლიტიკური კუთხით შევხედო მე ვერ გამიგია, რა სურს მას. ჩვენ იმ პოლიტიკურ ორგანიზაციათა რიგს არ ვეკუთვნით, ვინც ყოველ წუთს ბატონ შევარდნაძის ქებას აღავლენს, თუმცაღა ახლა უნდა ვთქვა, რომ მოთხოვნა მისი გადადგომის შესახებ ლოთი ქობალიასგან სრული უაზრობაა. ასე თუ წავიდა, სახელმწიფოს მეთაურთან ერთად უნდა გადადგეს მთელი ხელისუფლება, მთავრობა და უნდა დარჩეს მხოლოდ ლოთი ქობალია.

— თუნდაც იმიტომ, რომ ზვიად გამსახურდია ცოცხალი თავით საქართველოში პრეზიდენტად დაბრუნებელი არ არის, საამისოდ ყოველგვარი პირობა რომ შეუქმნას კიდეც...

— რასაკვირველია. ამიტომ ვამბობ, მისი ეს განცხადება ლოგიკის არანაირ კანონებს არ ემორჩილება. აფხაზეთისთვის ომი არ არის არც შევარდნაძისთვის და არც პარლამენტისთვის ომი. ეს არის საქართველოს ომი და ყველამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს მისი წარმატებით დამთავრებისთვის. ქობალიებს შეუძლიათ ეკამათონ შევარდნაძეს, აკრიტიკონ იგი, მაგრამ მოთხოვნა გადადგომის შესახებ, ვიმეორებ, აბსურდული და არასერიოზულია.

რასაკვირველია, მერჩია, ქობალია თავისი ადრინდელი გადაწყვეტილების (როდესაც აფხაზეთის საომარ მოქმედებაში მონაწილეობა მოიფიქრა) ერთგული დარჩენილიყო. ეს ბევრ პრობლემას მოგვიხსნიდა. მათ შორის, სამეგრელოსიც. თუმცაღა, მაინც მგონია, ამ რეგიონის მიმართ ძალის პოლიტიკა არ უნდა იქნეს გამოყენებული. ხელისუფლებამ სხვა მექანიზმი უნდა ეძებოს.

გერმანე ფაცაცია (ტრადიციონალისტთა კავშირი): მე მაქვს ორი სრულიად საწინააღმდეგო ინფორმაცია: ერთი, რაც საკუთარი თვალით ვიხილე ტელევიზორში, როგორ განაცხადა ლოთი ქობალიამ აფხაზეთში საომრად მივდივართო და მეორე, რომელიც აგრეთვე საკუთარი თვალით წავიკითხე თქვენ გაზეთში — არ ვიომებ, მანამ სახელმწიფოს მეთაური არ გადადგებაო. როგორ გავიგო, რომელია სწორი და რომელი არასწორი? ერთი ინფორმაციაც მაქვს: სამეგრელოს თითქმის ყველა რაიონში წინასამობილიზაციო მზადება მიმდინარეობს, რომ საკმაოდ მობილური ჯგუფი უკვე შესულია ოჩამჩირეში. ასეთი ურთიერთგამომრიცხავი ამბების ფონზე ერთადერთი სწორი დასკვნის გამოტანა მიჭირს, რა გითხრათ...

არსებობს ორი, ერთმანეთის სრულიად საპირისპირო მდგომარეობა — სიფხიზლე და სიმთვრალე. ზუსტად ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს ერთმანეთთან დამოკიდებულებაში ლოთი ქობალიას ეს ორი განცხადება. როდის იყო პოლიტიკურად ფხიზელი ქობალია? — როცა საკუთარი მამულის დაცვა გადაწყვიტა და ამით ათასობით კაცის გული მოიგო საქართველოში, თუ მაშინ, მიტინგზე, წარსულის ნოსტალგია რომ მოეძალა და აბსურდული მოთხოვნები ექსპრეზიდენტის გულის მოსაგებად წამოასროლინა?

ამ დღეებში ზუგდიდში ჩატარებულ მიტინგზე გამომსვლელთა პოზიციის შესახებ პარლამენტის სხდომაზე გამართულ აზრთა გაზიარებაში მონაწილეობისას, სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა: ვინც რა ილაპარაკა ამ მიტინგზე, მის სინდისზე იყოს, და თუკი რამ ხდება ანტიკონსტიტუციური ჩვენს ყოფაში, ამისათვის შესაბამისი ორგანოები არსებობენ და ისინი იტყვიან თავიანთ აზრს. მაგრამ ახლა ყველაზე მთავარი ის არის, რომ ზუგდიდში დაიწყო დიდი მოძრაობა, ყველაზე დიდი მოძრაობა სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, რომ საქართველოს ერთიანობისა და მთლიანობისთვის ბრძოლაში მიიღონ მონაწილეობა.

ხობის რაზმი, რომელსაც შესანიშნავი მებრძოლი, ამ რაიონის გამგებელი თემურ გურგაია მეთაურობს, ოჩამჩირეშია, იქ ჩავიდა აგრეთვე მეორე ჯგუფი ფოთის გამგებლის რომან მელიას ხელმძღვანელობით, მარტვილში 500-კაციანი რაზმი უკვე წასასვლელად ემზადება, სოხუმში კი იბრძვის ძალიან დიდი რაზმი, რომლის წევრები მთლიანად ზუგდიდიდან არიან. რაკი ამ რეგიონის მოსახლეობა უკვე ჩაება ერთიანი საქართველოსათვის ბრძოლაში, მინდა პარლამენტის სახელით მადლობა ვუთხრა მას და მხარი დავუჭირო ამ უმნიშვნელოვანეს მოძრაობას. აი ეს არის მთავარი და არა ის, თუ ვინ რა თქვა იმ მიტინგზე, — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ.

გალინა ხარებაშვილი,
„სრ" საპარლამენტო კორესპონდენტი.

ნომერში

- სახელმწიფო პროგრამა ნარკომანიის წინააღმდეგ. 3
- ემუხვარი ეძებს მშვიდობას. 4

კარგი ორგანიზაციისათვის

30 მარტს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა, რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ედუარდ შევარდნაძემ გამოსცა ბრძანება ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სამხედრო მოსამსახურეთა წახალისების შესახებ.

როგორც ამ ბრძანებაშია ნათქვამი, რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობათა მორიგების თანახმად, მიმდინარეობს ამიერკავკასიის ყოფილი სამხედრო ოლქის ჯარების რაოდენობის შემცირება და საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის საბრძოლო ტექნიკისა და ქონების გადაცემა. შემცირებული საჯარისო ნაწილის ორგანიზებული დაშლის დადებით მაგალითს წარმოადგენს ყოფილი 30176 საჯარისო ნაწილის პირადი შემადგენლობის მუშაობა, რომელმაც საბრძოლო მზადყოფნა, ტექნიკა, შეიარაღება და ქონება შეინარჩუნა შემცირების შესახებ ბრძანების მიღებამდე. ამან საშუალება მისცა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს, საბრძოლო დანადგარები, რადიოტექნიკური საშუალებები, შეიარაღება და საერთოდ, სამხედრო ქალაქი სწრაფად და მაღალხარისხიანად მიეღოთ.

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებისათვის საბრძოლო ტექნიკისა და ქონების გადაცემისას კარგი ორგანიზაციისა და ამ სამუშაოების განსახორციელებლად, ხელშემწყობი პირობების შექმნისათვის 10 ათასი მანეთის ოდენობით ფულადი პრემიით დაჯილდოვდნენ პოლკოვნიკი იური იუროვი, პოდპოლკოვნიკები ვლადიმერ ლებედევი და ვიქტორ კუშნიროვი.

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებისათვის საბრძოლო ტექნიკისა და ქონების გადაცემის მიზნით, სამუშაოების განხორციელებაში უშუალო და აქტიური პირადი მონაწილეობისათვის, ამასთან გამოჩენილი კეთილი ნებისა და პროფესიული ცოდნისათვის, ფულადი პრემიით 5000 მანეთის ოდენობით დაჯილდოვდნენ პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ რუდავსკი, პოდპოლკოვნიკი ვასილი კოლკოვნიკოვი, პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ ანიკინი, მაიორი სერგეი კონკოვი.

გადაწყდა მადლობა გამოეცხადოს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთელ პირად შემადგენლობას და ხელქვეითებისათვის გასაცნობად გადაეცეს ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდალს.

აქტუალური თემა

რეალურ პოზიტიურ შედეგებს მალე ვიგრძნობთ...

ბრიუსელის ვიზიტის შემდეგ

პარადოქსებით სავსეა ჩვენი ცხოვრება. და აი, კიდევ ერთი მომენტი, რომელსაც ჩემთვის მართლაც პარადოქსული ელფერი დაჰკრავდა: ბრიუსელში მივლინებული ჩვენი დელეგაციის დაბრუნების შემდეგ გამართული პრესკონფერენციისას ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სიტყვებმა, რომლითაც, პრეს-კონფერენციის წამყვანმა ნოდარ გრიგალაშვილმა დაამთავრა დელეგაციის რამდენიმე წევრის პრესის მუშაკებთან შეხვედრა: „მთავარი ის არის, რომ გვჯერა — ჩვენი დელეგაციის მივლინება ბრიუსელში იყო არა მორიგი გასეირნება საზღვარგარეთ, არამედ საქმიანი ვიზიტი. და რომ მას მალე თავისი პოზიტიური შედეგები უნდა მოჰყვეს".

რაც შეხება თვით პრეს-კონფერენციას, იქ უკვე პარადოქსული არაფერი ყოფილა.

ბრიუსელის დელეგაციის ხელმძღვანელმა ბატონმა ნოდარ ნათაძემ, დელეგაციის წევრებმა — თედო პაატაშვილმა და გიორგი ჯანჯღავამ ჟურნალისტებს მოუთხრეს თავიანთი ვიზიტის მისიაზე, მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებზე.

ბატონმა ნოდარ ნათაძემ თქვა, რომ ეს ვიზიტი, სამწუხაროდ, რამდენადმე გვიან შედგა. სსრ კავშირის ყოფილი რესპუბლიკების და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენლები უკვე მუშაობენ იქ. საქართველოს ადგილი კი თავისუფალია. ამიტომ ახლა მალე ჩამოყალიბდება ჯგუფი, რომელიც მუდმივად იმუშავებს ნატოს შტაბ-ბინაში.

ითქვა, რომ ვიზიტი ნატოს მოწვევით შედგა (მათვე დააფინანსეს მოგზაურობა), ძირითადი მიზანი მიწვევისა იყო ჩვენი გაცნობა, უფრო კონკრეტულად გაგება იმისა, თუ რა გზას ირჩევს იმპერიული ხუნდებისაგან ახლად თავდახსნილი ქვეყანა.

— ჩვენ შორის მალე დამყარდა, ასე ვთქვათ, ნდობის ამინდი, — თქვა თედო პაატაშვილმა, — მასპინძლები მალე დარწმუნდნენ, რომ მსოფლიო ისტორიული სტრატეგია ჩვენც იგივე გვაქვს, რაც მათ. მათ შექმნათ შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ქვეყანას შეუძლია იტვირთოს ის მისია, რომელსაც მას დღევანდელობა ავალებს.

დელეგაციის წევრებმა უპასუხეს პრესის მუშაკთა მრავალ კითხვას. კერძოდ, თქვეს, რომ ბრიუსელში, ბონში სრული, ამომწურავი ინფორმაცია აქვთ ჩვენთან ამჟამად მიმდინარე პროცესებზე. არავის ეეჭვება, რომ აფხაზეთში საქართველოს რუსეთი ეომება.

და მაინც ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი პრესკონფერენციაზე თქმულთაგან ის არის, რომ ვიზიტის პოზიტიური შედეგები მალე რეალურად შეიგრძნობა ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რაც შეეხება თვით ნატოს სტრუქტურას და მის ფუნქციებს: იგი, ერგება რა ახალ რეალიებს, თავის წინაშე აყენებს უკვე სრულიად ახალ ამოცანებს. ნატო სულ უფრო აფართოებს თავდაცვით ფუნქციებს და ცდილობს უფრო მობილური ორგანო გახდეს, უფრო აქტიურად აიღოს თავის თავზე მსოფლიოში სიმშვიდის გარანტის ფუნქცია.

ლინა გიორგაძე.

საარმიო კორპუსის სარდლობის განცხადება

აფხაზეთში დისლოცირებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე საარმიო კორპუსის სარდლობის განცხადებაში, რომელიც 16-17 მარტს სოხუმზე იერიშის მიტანისას ეგრეთ წოდებული გუდაუთის დაჯგუფების შეიარაღებული ძალების რამდენიმე ასეული მეომრის ცხედრების გატანას შეეხება, ნათქვამია, რომ აფხაზთა მხარემ რამდენჯერმე დაარღვია მიღწეული შეთანხმება, ქართველი სამხედრო მოსამსახურეები დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ მოწინააღმდეგის სამხედრო ხელმძღვანელობას და შესთავაზეს შეეწყვიტათ ცეცხლი მდინარე გუმისთის გაყოლებით, რათა ქართველ მეომრებს მისცემოდათ დაღუპულთა ცხედრებთან მიახლოების შესაძლებლობა. აფხაზთა მხარის პასიურობის გამო ასეთი შეთანხმება მხოლოდ 20 მარტს იყო მიღწეული, მაგრამ მოწინააღმდეგემ იმავე დღეს დაარღვია იგი. მათ მიერ გახსნილი ცეცხლის შედეგად დაიღუპა ქართველი მეომარი, რომელიც გვამებს აგროვებდა. მიუხედავად ამისა, მაინც დაიდო ახალი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ მოწინააღმდეგემ ისიც დაარღვია, რის გამოც დაიღუპა ორი და მძიმედ დაიჭრა ორი ქართველი მებრძოლი.

აღნიშნული შემთხვევების შემდეგ გუდაუთის დაჯგუფების სამხედრო წარმომადგენლები რამდენჯერმე არ მოვიდნენ მოლაპარაკებაზე. ამავე დროს ცალკეული პირები ცდილობდნენ მიეღოთ მხოლოდ თავიანთი ახლობლების ცხედრები. ყოველივე ამან გააჭიანურა დაღუპულ მეომართა გვამების მოძებნისა და მოწინააღმდეგე მხარისათვის გადაცემის პროცესი. ამასობაში კი დაიწყო გვამების გახრწნა და შეიქმნა ეპიდემიის გავრცელების საფრთხე. შექმნილ სიტუაციაში საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლობა იძულებული გახდა მიეღო გადაწყვეტილება გვამების კოლექტიური დასაფლავების შესახებ, რაც კიდევაც შესრულდა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე საარმიო კორპუსის სარდლობა იმედოვნებს, რომ გუდაუთის დაჯგუფების ხელმძღვანელობა ახლა მაინც განახორციელებს ქმედით ღონისძიებებს გუმისთის ნაპირზე დაღუპული აფხაზებისა და სხვა ეროვნებათა მეომრების ცხედრების გადასასვენებლად.

რეპორტაჟი ომიდან

სოხუმი: ჩვენი იმედის გაზაფხული

ამბობენ, იმედი სულ ბოლოს კვდებაო, რა ექსტრემალურ ვითარებაშიც უნდა აღმოჩნდეს ადამიანი, მას ყოველთვის უკეთესის იმედი აქვს. ეს ფრაზა, რომელსაც სიახლის პრეტენზია არა აქვს, სავსებით განეკუთვნება სოხუმელებს. აი უკვე შვიდი თვეა, რაც ქალაქი-კურორტი ფრონტისპირა ქალაქად გადაიქცა.

გული ლამის გასკდეს ტკივილისა და ტანჯვისაგან, როცა ხედავ დაბომბილ, გადაბუგულ საცხოვრებელ სახლებს სოხუმის ცენტრში, აქ აუტანელ პირობებში მყოფ სოხუმელებს, მაგრამ ისინი ცხოვრობენ იმედით, რომელიც გაზაფხულს მოაქვს.



სურათებზე: ომის შედეგად დატოვებული. კვალი სოხუმში.

ბორის სოკოლოვის ფოტორეპორტაჟი (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სოფელი: პრობლემები, პერსპექტივა

ზეზეულად იხოცებიან,

ანუ ამბავი ერთი გაჩანაგებული საზოგადოებრივი მეურნეობისა და თავის დროზე უსამართლოდ დაჩაგრული თავმჯდომარისა, უსათუოდ ფეხზე რომ წამოაყენებს საქმეს.

●

ალბერტ ილურიძე ჩემი ძველი მეგობარი, ამ ჩვიდმეტი წლის წინ, როცა გორის რაიონის ბერშუეთის კოლმეურნეობას თავკაცობდა, გაზეთში გავაკრიტიკე მეწველ ფურზე წველადობის საშუალოდ 150 გრამით შემცირებისათვის.

მერე კოლექტივის ამ უნარიანმა წინამძღოლმა, ჯერ იყო და, ბერშუეთის კოლმეურნეობის ეკონომიკა წელში გამართა. ზეღდულეთში გადაიყვანეს და, მისი წინამორბედის — საკოლმეურნეო საქმის ჩინებული ორგანიზატორის ამირან დემეტრაშვილის დაწყებულ ბევრ სასიკეთო საქმეს დაადგა თავი, თავადაც სოფლის კეთილდღეობისათვის უშურველად გაისარჯა და აქაური მეხილეების, მეჭარხლეების, მეცხოველეების საქმეებზე მთელი რაიონი ალაპარაკდა.

ერთ დღეს კი, 1990 წლის დამდეგს, ყველაფერი წყალში გადაეყარა, როცა სოფლის „რადიკალებმა" მიტინგი მოაწყვეს და კოლმეურნეობის თავმჯდომარის გადაყენება მოითხოვეს. რაღა აღარ დააბრალეს: სოფელს ძარცვავსო, ხალხის დოვლათს ანიავებსო, მაგის შიშით სოფელში ქალს ველარ გაუვლიაო და სხვა მისთანანი. გორის მაშინდელმა ხელმძღვანელობამაც ვერ დაიკავა პრინციპული პოზიცია, თუმცა რეალურ ძალაუფლებასაც უკვე აღარ ფლობდა, და თავმჯდომარე გაწირეს.

მაშინდელი საკოლმეურნეო დავთრებიდან ამოწერილი ზოგიერთი ციფრი: კოლმეურნეობას ჰყავდა 230 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, აქედან მეწველი ფური — 120, რძის წლიური წარმოება (ფაქტობრივი მაჩვენებელი) — 220 ტონა, დამზადება (სახელმწიფოსათვის მიყიდვა) — 207 ტონა, ერთი ძროხის საშუალო წლიური ჩამონაწველი — 2200 კილოგრამი, ხორცის წლიური დამზადება (მოსახლეობასთან ერთად) — 115 ტონა.

მეცხოველეობის ბაზად, როგორც ყველგან, აქაც საკვები მიაჩნდათ და ზეღდულეთელებმა 1988 წელს 800 ტონა თივა და ნამჯა დაამზადეს, სილოსი და სენაჟი — 1200 ტონა.

1990 წლიდან კოლმეურნეობის საქმეები უკუღმა დატრიალდა. იმ წელს წარმოებული რძის მაჩვენებელი 88 ტონამდე შემცირდა, ხორცისა — 12 ტონამდე, მომდევნო წელი კი უკვე სრული კრახის წელი იყო — 15 ტონა რძე და 10 ტონა ხორცი.

მას შემდეგ ვეღარც კოლმეურნეობა წამოიმართა და გაწყვეტილ პირუტყვს, ხომ თვალი აღარ ჰქონდა: ბალახს აღარ თიბავდნენ, სილოსს აღარ დებდნენ, საკვები სამზარეულო დაანგრიეს, დაძარცვეს და პირუტყვს ფეხზე ან კი რა დააყენებდა.

— შარშან, — უბის წიგნაკში იხედება და ისე მეუბნება ფერმის გამგე გივი მაჭარაშვილი, — ძლივს მოვაქუჩეთ 241 ტონა ნამჯა და 15 ტონა თივა. ამით რა პირუტყვს გამოვამზამთრებდით? შიმშილისაგან დიდძალი პირუტყვი გაგვიწყდა. ზამთარში ფერმიდან წყლის მისაწოდებელი აგრეგატი რომ მოიპარეს და წყალი აღარ გვქონდა, საქონელი დასარწყულებლად გარეთ გამოგვყავდა.. თოვლის საჭმელად.

რა თქმა უნდა, ზეღდულეთი გამონაკლისი არ ყოფილა. მეტნაკლებად ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა რაიონის სხვა მეურნეობებშიც, ვერ ვიტყვით, რომ გორის რაიონის სოფლის მეურნეობის თავკაცები გულხელდაკრეფილი ისხდნენ და წყალობას ელოდებოდნენ — დარბოდნენ, აწუხებდნენ, არწმუნებდნენ ზემდგომ ორგანოებს, პრეზიდენტამდეც კი მივიდნენ, მაგრამ უკვე აღარც პრეზიდენტს ჰქონდა საამისო პირი და აღარც მის გარემოცვას, ზეღდულეთის ძროხებისთვის ვინღა მოიცლიდა.

სამწუხაროდ, ასე დასამარდა მეცხოველეობა არამარტო ზეღდულეთის კოლმეურნეობაში და არამარტო გორის რაიონში, და არამარტო მეცხოველეობა.

ამას წინათ სოფლის დეპუტაცია ალბერტ ილურიძეს შინ ესტუმრა. სტუმრობა ერთგვარად მონანიებაც იყო და თხოვნაც — კვლავ ჩადგომოდა აწ უკვე გაპარტახებულ კოლმეურნეობას სათავეში.

როგორც იყო, დაითანხმეს შერისხული თავმჯდომარე. ამასობაში ზეღდულეთის კოლმეურნეობის ბაზაზე სამი დამოუკიდებელი კოლმეურნეობა აღმოცენდა და ალბერტ ილურიძე ახალსოფლის უბნელებმა თავიანთი აგროფირმა „ახალსოფლის" თავმჯდომარედ აირჩიეს.

ფირმის თავმჯდომარეს ახალსოფელში შევხვდით. ფერმები მოვიარეთ. იყო დრო, როცა ამ შვიდივე, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით მექანიზებულ ფერმაში პირუტყვი არ ეტეოდა. დღეს აღარც ფერმებია, აღარც მექანიზაცია, აღარც პირუტყვი. მხოლოდ ერთ ფერმაში გადარჩა 34 სული დაიკეული. სხვა ყველაფერი დანგრეული, გაძარცვული და იავარქმნილია.

— ნულიდან კი არა, მინუსიდან ვიწყებთ საქმეს, — მითხრა ალბერტ ილურიძემ, — შევადგინეთ პირველი რიგის სამუშაოთა გეგმა-გრაფიკი, ზოგიერთი საქმე უკვე ადგილიდან დავძარით. ფული ვისესხეთ და სხვადასხვა თესლი შევიძინეთ, ბაღებში სხვლა დავიწყეთ, ფერმაში კომბინირებული საკვები შემოვიტანეთ. აქაურობის ძველმა თავკაცებმა მეცხოველეობის საკვების გარკვეული რეზერვი „შემოგვინახეს". უბრალოდ, ეტყობა, დაეზარათ 1,5 ჰექტარზე მოსული შაქრის ჭარხლის ამოღება. ახლა ის ჭარხალი, დაახლოებით 80 ტონა, მიწაშია, ამოვიღებთ და ფერმაში მივზიდავთ, ცოტა სულს მოვათქმევინებთ. ახლა მთავარია პირველ ბალახამდე გაძლოთ, მერე აღარ გვეშინია.

— კიდევ ეხოცებათ საქონელი?

— წუხელაც ზეზეულად გათავდა ერთი.

დიდხანს ვისაუბრეთ. ამ მთისა, იმ მთისა გავიხსენეთ, ის კრიტიკული წერილიც, რა თქმა უნდა. მწარედ გაეღიმა თავმჯდომარეს. ახლა საქმეს თავიდან იწყებს. მეცხოველეობაში წინანდელი ზღუდეები მეორედ უნდა დალაშქროს და საამისოდ აგროფირმის წევრებთან ერთად საგულდაგულოდ ემზადება. წინ გრძელი და ძალზე ძნელად სავალი გზაა, მაგრამ არც ალბერტ ილურიძეა ჯაბანი, რაკი დაიქადნა, იცოდეთ — ქადილის ძალაც შესწევს და მიზნის მიღწევისაც.

გურამ ვაშაკიძე.

საპარლამენტო ცხოვრება

ფრაქცია „რესპუბლიკელები"

1. ვ. ხმალაძე — თავმჯდომარე, 2. ა. ბოხოხიძე, 3. თ. დიასამიძე, 4. პ. კოღუაშვილი, 5. ა. მარშანია, 6. ვ. ძაბირაძე, 7. ი. ხაინდრავა, 8. ფ. საყვარელიძე, 9. ზ. შენგელია, 10. დ. ბერძენიშვილი.

საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები

საპარლამენტო ფრაქცია „რესპუბლიკელები" ჩამოყალიბდა საქართველოში რესპუბლიკური წყობის განმტკიცების, საპარლამენტო ტიპის რესპუბლიკის საბოლოო ჩამოყალიბების, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების საპარლამენტო უზრუნველყოფის მიზნით.

ფრაქციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

— სახელმწიფოს სუვერენიტეტის, უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა;

— ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვა, პიროვნების თავისუფლებების სრული უზრუნველყოფა;

— საპარლამენტო ტიპის რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავება და რეფერენდუმის გზით მისი მიღება;

— საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ფუნქციათა და კომპეტენციათა გამიჯვნა დემოკრატიის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად;

— მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის სრული თავისუფლების უზრუნველყოფა;

— მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების რეფორმა მათი დემოკრატიულობისა და ქმედუნარიანობის ამაღლების მიზნით;

— ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სრულყოფა საქართველოს ისტორიული და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით;

— დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რეალური წინსვლა სამოქალაქო საზოგადოების აშენების მიმართულებით;

— სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლო სისტემის რეფორმა მოწინავე დემოკრატიული სახელმწიფოების გამოცდილების გათვალისწინებით;

— ძირეული ეკონომიკური და აგრარული რეფორმა, რომელთა საფუძველია კერძო საკუთრების, თავისუფალი შრომისა და მეწარმეობის დამკვიდრება, ანტიმონოპოლიური ღონისძიებანი და კონკურენციისათვის ხელის შეწყობა;

— საფინანსო და საგადასახადო სისტემის სრულყოფა, მოსახლეობისათვის მტკიცე სოციალური გარანტიების მექანიზმის შექმნა;

— სამხედრო აღმშენებლობა და სამხედრო წარმოების შექმნა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით;

— აქტიური საგარეო პოლიტიკა, რომლის მიზანია ქვეყნის უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების შექმნა, უცხოეთის სახელმწიფოებთან თანასწორუფლებიანი, ორმხრივსარგებლიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის სფეროებში;

— შემოქმედების თავისუფლების უზრუნველყოფა, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის ხელშეწყობა;

— განათლების სისტემის სრულყოფა და მისი მრავალფეროვნების უზრუნველყოფა;

— ჯანდაცვის სისტემის რეფორმა სადაზღვევო მედიცინისა და კომერციული სამკურნალო დაწესებულებების დამკვიდრების გზით;

— ჯანსაღი საარსებო გარემოსთვის ზრუნვა;

— კომპეტენტური საკადრო პოლიტიკა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ბრძოლა კორუფციასთან, დამნაშავეობის სხვა ფორმებთან, თანამდებობრივ პრივილეგიებთან.

ფრაქცია „რესპუბლიკელები" აქტიურად ითანამშრომლებს ყველა პარლამენტურ ძალასთან, რომელთანაც აღინიშნება ზემოხსენებულ ინტერესთა თანხვედრა.

ფრაქცია „რესპუბლიკელები" წინ აღუდგება ყოველგვარ მცდელობას ძალაუფლების უზურპაციისა ერთი პიროვნების, ერთი პარტიის, ან ერთი ორგანოს მიერ.

ფრაქცია „რესპუბლიკელები" მიზნად ისახავს საერთაშორისო კონტაქტების გაფართოებას მონათესავე პოლიტიკურ ძალებთან, მათ განვითარებას სტაბილურ საფუძველზე.

ფრაქცია „რესპუბლიკელები" თავისი წევრების მეშვეობით აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საპარლამენტო, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ყველა იმ საქმიანობაში, რომელიც ხელს შეუწყობს ამ დოკუმენტში ხსენებული მიზნების განხორციელებას, აგრეთვე პარლამენტის როლისა და ავტორიტეტის ზრდას.

ქ. თბილისი, 1992 წლის 30 ნოემბერი.

„მწვანეთა" ფრაქცია

1. ზ. ჟვანია — თავმჯდომარე, 2. გ. თუმანიშვილი, 3. რ. ლორთქიფანიძე, 4. დ. ბაშალეიშვილი, 5. გ. გაჩეჩილაძე, 6. რ. ადამია, 7. გ. ბარამიძე, 8. ზ. ნოღაიდელი, 9. პ. მამრაძე, 10. ე. გვაზავა, 11. ლ. მამალაძე, 12. ჯ. კურტანიძე.

პლატფორმა

საქართველოს პარლამენტის მწვანეთა ფრაქციის საქმიანობის მიზანია საარსებო გარემოს დაცვა განადგურებისაგან. თავისუფალ საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების ხელშეწყობა და ამ პროცესში სოციალური სამართლიანობის პრინციპების მაქსიმალური დაცვა, ბრძოლა ძალადობასა და უკანონობასთან, კორუფციასთან და ბიუროკრატიული აპარატის თავნებობასთან. მწვანეთა ფრაქციის საპარლამენტო პოლიტიკა შემდეგ პრინციპებს დაემყარება:

სახელმწიფოებრივი მოწყობისა და მმართველობითი ორგანოების რეორგანიზაციის მიმართულებით

1. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების რეალური გამიჯვნა.

უმნიშვნელოვანესი ყურადღება უნდა მიექცეს სასამართლოს, როგორც დამოუკიდებელი ხელისუფლების ჩამოყალიბებას, რომლის გადაწყვეტილებებსაც უნდა დაექვემდებაროს არა მხოლოდ მოქალაქეები, არამედ მმართველობის ორგანოებიც, მათი ხელმძღვანელები.

უნდა გარდაიქმნას არსებული სამთავრობო სტრუქტურები, მთლიანად მინისტრთა კაბინეტისა და ცალკეულ სამინისტროთა ფუნქციონალური დატვირთვა.

2. სახელმწიფო ხელისუფლების დეცენტრალიზაცია, კანონმდებლობით უნდა გაიმიჯნოს საერთო-ეროვნული ხელისუფლებისა და სხვადასხვა დონის ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციის ფარგლები. უნდა გამოირიცხოს რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა კომპეტენციის ფარგლებში შეჭრა. ფუნქციათა გადანაწილების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ საკანონმდებლო შესწორებათა გზით.

3. თანმიმდევრული ბრძოლა კორუფციასთან და სახელმწიფოებრივი ცხოვრების საჯაროობა. მიღებული უნდა იქნას ანტი-კორუფციული კანონმდებლობის პაკეტი, რომელიც განსაზღვრავს თითოეული თანამდებობის პირის მკაცრ პასუხისმგებლობას ძალაუფლების გამოყენებისათვის პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, მოახდენს ხელისუფლების წარმომადგენელთა ურთიერთობის მკაცრ რეგლამენტაციას ბიზნესის წრეების წარმომადგენლებთან, პირველ ყოვლისა უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან. უნდა შეიქმნას სპეციალური საპარლამენტო კომისია, რომელიც მუდმივ კონტროლს განახორციელებს ამ კანონმდებლობის შესრულებაზე. სამართალდამცავ ორგანოთა სისტემაში უნდა შეიქმნას კორუფციასთან, მათ შორის ამ ორგანოებში, მებრძოლი საგანგებო სამსახური.

გადაწყვეტილებათა მიღება მაქსიმალურად საჯარო ვითარებაში უნდა ხდებოდეს. თითოეულ მოქალაქეს უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეს ინფორმაციის თავისუფალი მიღების უფლება თანამდებობის პირთა თუ მათი საქმიანობის, სახელმწიფო გადაწყვეტილებათა შესახებ. უზრუნველყოფილი უნდა იქნას მასობრივი ინფორმაციის ორგანოთა რეალური, და არა მხოლოდ ფორმალური დამოუკიდებლობა სახელმწიფო ხელისუფლებისაგან.

გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების მიმართულებით

1. მწვანე საკანონმდებლო პაკეტი — რომელიც დაიცავს საქართველოს იმისაგან, რომ იგი განვითარებული ქვეყნების სანედლეულო, ნარჩენების გასატან თუ სხვა სახის დანამატად იქცეს;

აკრძალავს ბუნებრივი რესურსების (წიაღისეული, ტყეები, მცენარეული რესურსები და ა. შ.) არაეფექტურ, ბარბაროსულ ექსპლოატაციას, მათ გატანას საქართველოდან ნედლეულის სახით;

აკრძალავს ქვეყნის ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის ნარჩენების იმპორტს, საქართველოს გავლით რადიაქტიური და მაღალტოქსიკური ნივთიერებების ტრანზიტს;

გარემოს დაცვაში ადმინისტრაციულ-ამკრძალავ ზომებთან ერთად მაქსიმალურად დაამკვიდრებს ეკონომიკური რეგულაციის მექანიზმებს, პირველ ყოვლისა ეკო-გადასახადის შემოღების გზით;

საქართველოში მიღებულ ეკოლოგიურ სტანდარტებსა და ნორმებს, პირველ ყოვლისა დაბინძურების ზღვრულად დასაშვებ მაჩვენებლებს, სრულ შესაბამისობაში მოიყვანს საერთო-ევროპულ მოთხოვნებთან;

სავალდებულოს გახდის ყველა სახის სამეურნეო პროექტების კომპლექსური ეკონომიკური და ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას.

2. სახელმწიფო გარემოსდაცვითი სამსახურების სრული რეფორმა. გარემოს დაცვის უფლებო სამინისტრო უნდა გარდაიქმნას გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების კომიტეტად, რომელიც აღიჭურვება საგანგებო უფლებამოსილებით და ანგარიშვალდებული იქნება მხოლოდ რესპუბლიკის პარლამენტის წინაშე. მთლიანობაში უნდა გარდაიქმნას შესაბამისი სამსახურები მუნიციპალურ დონეზეც, ჩამოყალიბდეს ცენტრალური სამსახურის რეგიონალური სტრუქტურები შესაბამისი სამეცნიერო ცენტრებით.

ეკონომიკური რეფორმის ეროვნული მეურნეობისა და სოციალური პოლიტიკის მიმართულებით

1. რადიკალური ეკონომიკური რეფორმის გატარება-გადასვლა თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე. საბიუჯეტო დანახარჯების მკვეთრი შემცირება არა სოციალური და კულტურული პროგრამების შემცირების, არამედ წარმოების განსახელმწიფოებრიობის და შესაბამისი დოტაციების მოხსნის, ბიუროკრატიული აპარატის დაფინანსებისა და არამართლზომიერი პროექტების დახურვის ხარჯზე.

მუდმივი სახელმწიფო კონტროლი ანტიმონოპოლიური ღონისძიებების გატარებაზე, რამაც უნდა უზრუნველყოს კონკურენციის თავისუფალი პირობები.

ფორსირებულ ტემპებში ეროვნული ვალუტის შემოღება, მოსახლეობისა და მეწარმეთა შეუფერხებელი უზრუნველყოფა ფულის მასით. სპეციალური სახელმწიფო პროგრამის მიღება ეროვნული ვალუტის თავისუფალი კონვერტაციის უზრუნველყოფისათვის.

მეწარმეთა, უცხოურ ინვესტიციათა თავისუფლების მკაცრი საკანონმდებლო დაცვა, პირველ ყოვლისა ბიუროკრატიული აპარატის თავნებობისაგან.

საბანკო და სადაზღვევო სისტემის მკვეთრი რეფორმა, რომელმაც ხელსაყრელი პირობები უნდა შეუქმნას თავისუფალი მეწარმეობის და ტრანზიტის განვითარებას, ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოებას.

2. სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია უნდა წარიმართოს საბარათო სისტემით, რამაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს თითოეული მოქალაქე საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონების საკუთარი წილით. საგანგებო საპარლამენტო კომისიამ უზრუნველყოს ფარული პრივატიზაციისა და სახელმწიფო ქონების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლა.

ეკონომიკური რეფორმის პროცესში სოციალური დაცვისა და სოციალური სამართლიანობის ღონისძიებათა გატარება. პირველ პერიოდში შენარჩუნებულ უნდა იქნას პირველი მოხმარების იმგვარი საქონლის სიმბრივი განაწილება, როგორიცაა პური, რძე, ბავშვთა კვება, ზოგიერთი სახის მედიკამენტები. აუცილებელია ასევე ამ სახის საქონელზე თავისუფალი ფასწარმოქმნის გავრცელების რეგლამენტაცია.

ყოველთვიურად რეალური სამომხმარებლო კალათის განსაზღვრის საფუძველზე უნდა დგინდებოდეს მინიმალური ხელფასისა და სოციალური დახმარების ოდენობა.

ფასიანი ჯანდაცვისა და განათლების ობიექტების განვითარების ხელშეწყობასთან ერთად, მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ფენებს გარანტირებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი უფასო სახელმწიფო მომსახურეობა. ამავე დროს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში უნდა განხორციელდეს აქტიური სახელმწიფო პოლიტიკა სადაზღვევო სისტემის, მათ შორის არასახელმწიფოებრივი, საყოველთაო დამკვიდრების მიმართულებით.

3. სოფლის მეურნეობის გაჯანსაღება, აგრარული რეფორმა უნდა დაეფუძნოს მართვის არსებული სტრუქტურის ძირეულ რეორგანიზაციას. სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს აგრარული სფეროს მართვის დეცენტრალიზაცია, ადმინისტრაციულ-განმკარგულებელი სისტემა შეიცვალოს მაკოორდინირებელი ფუნქციის მქონე სტრუქტურებით.

მთლიანად უნდა გადაისინჯოს არსებული დარგობრივი სტრუქტურა სოფლის მეურნეობაში დოტაციური ობიექტების განუხრელი შეკვეცის მიმართულებით. თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს მონოკულტურების დაშლა და მათი შეცვლა ენდემური და ტრადიციული კულტურებითა და დარგებით.

მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს ქიმიზაციაზე, გადაისინჯოს არსებული ნორმატივები, შეიქმნას საკონტროლო ლაბორატორიების რეგიონალური ქსელი საერთო-ევროპულთან მათი შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით. სახელმწიფომ აქტიურად უნდა მოახდინოს ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის განვითარების სტიმულირება.

4. ენერგოდეფიციტის დაძლევა და ენერგეტიკული კომპლექსის გაწონასწორებული განვითარება. საბოლოოდ უნდა აღიკვეთოს ენერგეტიკულ კომპლექსში ექსტენსიური განვითარების ტენდენცია. მიღებულ იქნას სახელმწიფო პროგრამა არსებული სიმძლავრეების სრული ამოქმედებისა და ელექტროენერგიის დანაკარგების შემცირების მიმართულებით.

მოხდეს სახელმწიფოს მიერ წარმოებაში ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვის სტიმულირება.

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საერთაშორისო ინტეგრაციის მიმართულებით

1. თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების სისტემის ფორსირებული ჩამოყალიბება. დაუშვებელია ქვეყნის უაზრო საყოველთაო მილიტარიზაცია, სამხედრო მშენებლობა გააზრებული ერთიანი კონცეფციის გარეშე. უსწრაფესად და განუხრელად უნდა მოხდეს ერთიანი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება, რომელიც მთლიანად პარლამენტისა და შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების კონტროლს დაექვემდებარება. დანარჩენი ფორმირებები სასწრაფოდ უნდა იქნას დაშლილი და განიარაღებული. პარლამენტმა უნდა განიხილოს რეზერვისტების სისტემის შექმნის შესაძლებლობა. თავდაცვითი კომპლექსი უნდა იქმნებოდეს აუცილებელი საკმარისობის პრინციპიდან გამომდინარე.

2. საქართველოსათვის, გამომდინარე გეოპოლიტიკური მდებარეობის თავისებურებებიდან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უსაფრთხოების პოლიტიკური გარანტიების ჩამოყალიბებას. ამ მხრივ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოს უსწრაფეს ჩართვას საერთაშორისო თანამშრომლობის, პირველ ყოვლისა, ევროპული თანამშრომლობის და უსაფრთხოების სტრუქტურებში.

გასათვალისწინებელია, რომ ევროპულ პროცესებში რეალური ინტეგრაციის მნიშვნელოვან წინაპირობას შინაგანი კონფლიქტების პოლიტიკური გზებით მოგვარების ეფექტური მექანიზმის არსებობა წარმოადგენს.

3. რეგიონალური ინტეგრაცია — უნდა წარმოადგენდეს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური დოქტრინის ქვაკუთხედს. განსაკუთრებული პერსპექტივებია ამ მხრივ შავი ზღვის რეგიონალური თანამშრომლობისა და უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებაში. სწორედ შავი ზღვის რეგიონალური სისტემის შექმნაში აქტიური მონაწილეობა მისცემს საქართველოს საერთო-ევროპულ პროცესებში სრულმასშტაბიანი ჩართვის შესაძლებლობას.

ამავე დროს, საქართველოსათვის მუდამ გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მჭიდრო ეკონომიკური და სხვა სახის ურთიერთობათა განვითარებას კავკასიის რეგიონში, ვინაიდან დამოუკიდებლობა ჩვენს მეზობლებთან უშუალოდ აისახება სტაბილურობაზე ქვეყნის შიგნით.

ფრაქცია „დემოკრატიული კავშირი"

1. რ. ხიზანიშვილი — თავმჯდომარე, 2. რ. ჯაფარიძე, 3. ი. ხარატიშვილი, 4. გ. ლორთქიფანიძე, 5. ვ. ყოლბაია, 6. ო. ზუხბაია, 7. თ. აბულაძე, 8. გ. მამულია, 9. ო. ლითანიშვილი, 10. ჯ. ციციშვილი.

პროგრამა

საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული კავშირი" ფართო სოციალური სპექტრის ფრაქციაა, რომლის მიზანია საქართველოში მშვიდობის დამყარება სტაბილური ვითარების შექმნა. მართვის დემოკრატიული მექანიზმების სრულყოფა, სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობისა და სამოქალაქო საზოგადოების შექმნა. არავითარი ელიტარულ-პოლიტიკური გამიჯვნა ხალხისაგან პარტიული წარმოშობის ან სხვა ნიშნის მიხედვით. მომავალი უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ ადამიანის ზნეობრივსა და პროფესიონალურ ღირსებებს.

ფრაქციას დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმად პარლამენტური რესპუბლიკა მიაჩნია. უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პარლამენტს. ამავე დროს ფრაქცია საჭიროდ მიიჩნევს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის იმ დინამიური მექანიზმის შექმნას, რაც გამორიცხავს ორხელისუფლებიანობას და კონფრონტაციის შესაძლებლობებს და დაცული იქნება სახელმწიფოებრივი მართვის სუბორდინაციის პრინციპი.

სასამართლოს რეფორმით უზრუნველყოფილი იქნება დემოკრატიული სამართლებრივი სისტემების შექმნა და გარანტირებული იქნება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებათა დაცვა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის რეფორმით საქართველო უნდა დაიყოს რეგიონალურ მხარეებად და მათ მიენიჭებათ ადგილობრივი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ფუნქცია.

საგარეო ურთიერთობაში საქართველომ უნდა განსაზღვროს თავისი ურთიერთობის პროგრამა: ა) ქვეყნები, რომელთანაც მას აქვს მეზობლური კავშირები, მეცნიერულ საფუძველზე უნდა იყოს შესწავლილი ეთნოკონფლიქტების არსებული და შესაძლო მიზეზები, შემუშავდეს მისი დაძლევის მექანიზმები, ბ) შემუშავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემავალი მაღალგანვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისადმი დამოკიდებულების კონცეფცია.

პარლამენტმა განავითაროს წინადადება თბილისში დიპლომატიურ დაწესებულებათა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობის გახსნის შესახებ.

სოციალურ-ეკონომიკური ნაწილი

საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული კავშირი" თვლის უპირველეს ამოცანად მიჩნეულ უნდა იქნეს საზოგადოების თითოეული წევრის სოციალური გარანტიების დაცვა.

ეკონომიკური პროგრამის კონცეფცია მთლიანად ემყარება საბაზრო ეკონომიკას. ფრაქციის პროგრამის მთავარი მიმართულებაა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება. იგი ითვალისწინებს: ა) პოლიტიკური მოწყობის ძირითად პრინციპებს; ბ) ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. ეკონომიკური მოწყობის ძირითადი პრინციპებია:

— საბაზრო ურთიერთობაზე და თავისუფალ მეწარმეობაზე დამყარებული შესაბამისი ეკონომიკის შექმნა.

— საკუთრების ყველა ფორმის აღიარება და შესაბამისი საკანონმდებლო აქტების შექმნაზე ზრუნვა;

— მეურნეობის მართვის დემონოპოლიზაცია;

— ბუნებრივი რესურსების მიზანმიმართული გამოყენება;

— მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და მისი რეალიზაცია პრაქტიკაში;

— ყოველგვარი სამეურნეო, საფინანსო-კომერციული საქმიანობისათვის ხელშეწყობა;

— კერძო ბიზნესის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა;

— გლეხურ-ფერმერული მეურნეობის შექმნისათვის ხელშეწყობა;

— მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემა და შესაბამისი საკანონმდებლო აქტების შემოღება;

— საქართველოს ბუნების დაცვა და ეკოლოგიურად დაცული წარმოების და სოფლის მეურნეობის განვითარება;

— საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სივრცის გაფართოება;

— უცხოური კაპიტალის ფართოდ მოზიდვა და მასთან ერთობლივი საწარმოების შექმნა და სხვა.

საბანკო სისტემა

რესპუბლიკაში ფუნქციონირებს როგორც სახელმწიფო, ასევე კომერციული ბანკები. სახელმწიფო ბანკები დაექვემდებარებიან მთავარ ეროვნულ ბანკს. კომერციული ბანკები წარმოადგენენ სააქციონერო საზოგადოებებს და გააჩნიათ დამფუძნებელთაგან შეტანილი თანხების საფუძველზე საწესდებო ფონდი. მთავარი ეროვნული ბანკი კოორდინაციას უწევს მთელ საბანკო სისტემას.

საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული კავშირი" საჭიროდ მიიჩნევს კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის ართ სახელმწიფოებრივ ზრუნვას, რაც გარანტიაა ჩვენი სულიერი და მატერიალური კულტურის გადარჩენისათვის. ყოველმხრივ ხელის შეწყობას საჭიროებს ის არასახელმწიფოებრივი სტრუქტურები, რომლებიც საქველმოქმედო საქმიანობით შექმნიან ხელოვნების, მეცნიერებისა და კულტურის მატერიალურ ბაზას.

ფრაქცია „ნეიტრალები"

1. ნ. ნადარაია — თავმჯდომარე, 2, ლ. ვარდოსანიძე, 3. შ. კეკელია, 4. ო. კოხია, 5. ჯ. გორგოძე, 6. ნ. კობრეიძე, 7. გ. გეწაძე, 8. თ. ნადარეიშვილი, 9. თ. კალანდაძე, 10. ა. თავართქილაძე, 11. ა. კილაძე, 12. მ. ქაჯაია, 13. გ. ლობჟანიძე, 14. ჯ. საჯაია, 15. ა. ფენდერავა, 16. გ. წითლანაძე, 17. დ. ჩიტლოვი, 18. გ. ხვედელიძე, 19. ი. აბესაძე, 20. ი. ბელიძე, 21. ფ. ალექსანიანი, 22. უ. სნხჩიანი, 23. ნ. ქეირანაშვილი, 24. ა. წოწონავა.

პლატფორმა

საქართველოს პარლამენტის დამოუკიდებელ უპარტიო პარლამენტართა ჯგუფმა, გაერთიანებულმა რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისიდან გამოყვანისა და ქვეყნის აღმშენებლობითი საქმიანობის ძირეულ საკითხებზე ერთიანი თვალსაზრისის საფუძველზე, რესპუბლიკის პარლამენტში ჩამოაყალიბეს ცენტრისტული მიმართულების პარლამენტართა ფრაქცია „ნეიტრალები".

ფრაქციის მიზნები და ამოცანებია:

I. პოლიტიკური სფერო

საქართველოს დამოუკიდებლობის, მისი ტერიტორიის და საზღვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფაზე ზრუნვა, საერთაშორისო სამართლებრივი აქტების აღიარება და პატივისცემა, მეზობელ სახელმწიფოებთან თანასწორუფლებიანი კავშირურთიერთობების დამყარება და აქტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკისადმი მხარდაჭერა.

საპარლამენტო ეროვნული დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობის. ქვეყნის მმართველობის ყველა რგოლში კანონისა და კანონიერების უზენაესობის დამკვიდრების და მკაცრად დაცვის, საქართველოს მოქალაქის და ქვეყნის მკვიდრი ერების, ეროვნულ უმცირესობათა კონსტიტუციური უფლებების დაცვისათვის ზრუნვა. ქვეყნის მართვის სტრუქტურებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებებისა და მოვალეობების გაზრდისა და შესაბამისად განმტკიცებისათვის მხარდაჭერა. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გამიჯვნა უშუალო სამეურნეო საქმიანობისაგან. აღმასრულებელი ხელისუფლების მხრივ ეროვნული მეურნეობის განვითარებისათვის მაკოორდინებელი ფუნქციების შესასრულებლად, საკუთრების ყველა ფორმის, თანაბარი უფლებების საფუძველზე საწარმოების, ორგანიზაციების, მეურნეობების, კერძო ინდივიდების და მცირე ბიზნესისათვის თანაბარი პირობების შექმნისათვის, ბიზნესმენთა საქმიანი ინიციატივების მხარდაჭერა.

ქვეყნის პოლიტიკურ პარტიებთან და მოძრაობებთან საქმიან კონსტრუქციულ ურთიერთობათა დამყარება, ურთიერთთანამშრომლობა.

ზრუნვა ხალხის მასების აქტიური მონაწილეობისათვის სახელმწიფოს მმართველობაში, რათა აირჩიონ და არჩეულ იქნენ ხელისუფლების ორგანოებში, ქმედითი მონაწილეობა მიიღონ კანონებისა და ახალი კონსტიტუციის შემუშავებასა და მის საყოველთაო სახალხო განხილვაში, საჭიროებისას რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით.

II. ეკონომიკური სფერო

ფრაქცია გარდამავალ პერიოდში აქტიურად დაუჭერს მხარს ეროვნული მეურნეობის აღდგენა-განვითარების პოლიტიკას, აგრარული, სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო კომპლექსების მომსახურების სფეროს დარგების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, საკუთრების ყველა ფორმით საწარმოთა არსებობას, რომელიც ემყარება თავისუფალ კონკურენციას, თანასწორუფლებიანობას, სახელმწიფო საწარმოთა და მიწის ნაკვეთების პრივატიზაციის ბაზაზე.

ფრაქცია მხარს დაუჭერს საბანკო-საკრედიტო სისტემის გაუმჯობესების, სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებისა და სტაბილიზაციის პოლიტიკას, საგადასახადო სისტემის დახვეწის ოპტიმალური ვარიანტის შემუშავებას, მხარს დაუჭერს სამანეთო ზონიდან საქართველოს რესპუბლიკის გამოსვლის და ეროვნული კონვერტირებული ვალუტის ფონდის შექმნის პოლიტიკის ფორმირებას.

ფრაქცია ყოველმხრივ მხარს დაუჭერს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად კომპლექსური პროგრამების შემუშავება-განხორციელებას, განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ეთნოკონფლიქტების — საერთო ეროვნული სატკივარის მოწესრიგების საქმეს; ეთნოკონფლიქტებში დაღუპულთა და დაინვალიდებულთა, ლტოლვილთა მატერიალური და მორალური დახმარებისათვის პრაქტიკული ღონისძიების შემუშავებას.

ფრაქცია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს დემოგრაფიული და ეკოლოგიური სრულყოფილი პოლიტიკის შემუშავებასა და მის ცხოვრებაში გატარებას.

ფრაქცია სამოქმედო პროგრამად მიიჩნევს მხარი დაუჭიროს უცხოური საერთაშორისო ორგანიზაციების, სახელმწიფოების და კერძო პირების ინვესტიციების შემოზიდვას, მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, საერთაშორისო ბანკთან ურთიერთობას და მათგან გრძელვადიანი კრედიტების მიღებას ეროვნული მეურნეობის წამყვან დარგებში აქტიური კომპლექსური პროგრამების დასაკრედიტებლად და ერთობლივი საწარმოების შესაქმნელად.

III. საერთაშორისო ურთიერთობათა სფერო

ფრაქცია მხარს დაუჭერს პარლამენტის კომისიებსა და ფრაქციებს საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით რესპუბლიკის სუვერენიტეტის დასაცავად ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას, მეცნიერების, ტექნიკის, ეკონომიკის, სპორტის, ტურიზმის დარგებში თანამშრომლობას;

გარდამავალ პერიოდში თანასწორუფლებიანობის პირობებში ეკონომიკური კავშირების აღდგენა-შენარჩუნებას რუსეთთან და სხვა მეზობელ სახელმწიფოებთან;

შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკურ გაერთიანებაში მონაწილეობას და კონსტრუქციულ პოზიციას ევროპის გაერთიანებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აქტიური თანამშრომლობის გზით.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ეწვევა ნატოს უმაღლეს მთავარსარდალს გენერალ ჯონ შალიკაშვილს

რადიოსადგურ „თავისუფლების" ცნობით, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი, რომელიც მეთაურობს რუსეთის დელეგაციას ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების თათბირზე ბრიუსელში, გუშინ ნატოს შტაბბინაში ეწვეოდა ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს გენერალ ჯონ შალიკაშვილს. თუმცა, მათი საუბრის თემაზე არაფერი უცნობებიათ, მაგრამ აღნიშნავენ, რომ ერთ-ერთი საკითხი იქნება სამშვიდობო ძალებში რუსეთის შეიარაღებული ძალების მონაწილეობის საკითხი, იუგოსლავიის კონფლიქტთან დაკავშირებით. აღნიშნავენ, რომ საეჭვოა, ყოფილ იუგოსლავიაში რუსეთის ჯარების საერთაშორისო სამშვიდობო ძალებში მონაწილეობა, რამდენადაც რუსეთის სამშვიდობო ძალები დაკავებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოების „ცხელ წერტილებში".

ამასთანავე, რადიოსადგური აღნიშნავს, რომ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ბრიუსელის თათბირზე განაცხადა, რომ შეაჩერებენ ბალტიისპირეთიდან რუსეთის ჯარების გამოყვანას, ვინაიდან იქ ირღვევა ეროვნული უმცირესობათა უფლებები და არ არის შემუშავებული მთავრობებს შორის რუსეთის ჯარების ყოფნის სტატუსი და გამოყვანის პირობები.

იმოქმედონ მკაცრად კონსტიტუციის ფარგლებში

რუსეთის ქალაქების კავშირმა მოუწოდა რუსეთის ხელმძღვანელებს ეძებონ გამოსავალი ახლანდელი დაპირისპირებიდან „მკაცრად კონსტიტუციური პროცესების ფარგლებში გააზრებული და შეთანხმებული ღონისძიებების საფუძველზე".

კავშირმა, რომელიც რუსეთის ფედერაციის მეტწილ ქალაქებს აერთიანებს, სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე გაავრცელა განცხადება, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ **„რუსეთის ხალხთა ინტერესები იმ პოლიტიკური ლიდერების ზრახვებზე მაღლა დგას, რომელთა მოქმედებამ სახელმწიფო ხელისუფლების ფედერალური ორგანოების კრიზისამდე მიიყვანა და რუსეთის სახელმწიფოებრიობა უფსკრულის პირას დააყენა".**

„ჩვენ მტკიცედ ვგმობთ ნებისმიერ პოლიტიკურ მოქმედებას, რომელსაც შეუძლია ჩაითრიოს ადამიანები უნაყოფო, საშიშ ბრძოლასა და სამოქალაქო დაპირისპირებაში, განზრახული გვაქვს მტკიცედ აღვუდგეთ წინ საზოგადოების გათიშვის, რუსეთის ქალაქებში წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების დაპირისპირების და ადგილობრივი თვითმმართველობის დანგრევის ყოველგვარ ცდებს", — ნათქვამია განცხადებაში.

ბილ კლინტონი: შეგვიძლია მოვახდინოთ ზემოქმედება

„უცხოეთის დახმარება არაპოპულარულია ყოველ ქვეყანაში და ყოველთვის არაპოპულარული იყო ჩვენთან. ამერიკელები საკმაოდ ეჭვიანები არიან იმისათვის, რომ შეიგნონ: ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ მოვლენათა განვითარება რუსეთში. **მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მოვახდინოთ მასზე ზემოქმედება და ჩემი, როგორც პრეზიდენტის ამოცანაა, დავარწმუნო ჩვენი ხალხი იმაში, რომ იქ მიმდინარე მოვლენების შედეგები იწვევენ ჩვენს პირდაპირ და უშუალო ინტერესს.** ვფიქრობ, მე შევძლებ ამის გაკეთებას", — განაცხადა ორშაბათს არკანზასის შტატის ქალაქ ლიტლროკში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა.

დემოგრაფიული სიტუაცია უარესდება

ამ წლის დაწყება აღინიშნა რუსეთში დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესებით, რომელიც გრძელდება, იუწყება რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკური კომიტეტი. სტატისტიკოსთა ანალიზური დოკუმენტი გავრცელდა რუსეთის პარლამენტში.

რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, რუსეთი, რუსები გადაშენების გზაზე არიან. აი ძირითადი ფაქტი: იანვარ-თებერვალში, ერთნახევარჯერ გადააჭარბა გარდაცვალებულთა რიცხვმა დაბადებულთა რაოდენობას. მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში რეგისტრირებულია 2,6-ჯერ მეტი გარდაცვლილი, ვიდრე დაბადებული. ასეთი მდგომარეობა აღინიშნა რუსეთის ფედერაციის 70 რეგიონში შეგახსენებთ, რომ გასული წლის ბოლო ორ თვეში ასეთი რეგიონი სამოცი იყო.. მოსახლეობის ბუნებრივი მატება შენარჩუნებულია მხოლოდ დაღესტანში, ინგუშეთში, ყაბარდო-ბალყარეთში, ყალმუხეთში, ყარაჩაი-ჩერქეზეთში, ტუვაში, ჩეჩნეთში, იაკუტიაში, ტიუმენის ოლქსა და ჩუკოტკის ავტონომიურ ოლქში. სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის პროგნოზული შეფასებებით, მთელი წლევანდელი წლის განმავლობაში რუსეთის დემოგრაფიულ განვითარებას განსაზღვრავს მოსახლეობის ბუნებრივი კვლავწარმოების პროცესების არახელსაყრელი ცვლილებები. ამას მოჰყვება რუსეთის მოსახლეობის საერთო რაოდენობის შემდგომი შემცირება.

გაეროს უშიშროების საბჭოში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ უცვლელი დატოვა სანქციათა რეჟიმი ერაყის წინააღმდეგ. ეს განაცხადა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ ბრაიანდმა ორშაბათს გამართული საბჭოს კონსულტაციების შემდეგ.

უშიშროების საბჭომ, აღნიშნა მან, კონსულტაციების დროს განიხილა ის, თუ როგორ ასრულებს ერაყი უშიშროების საბჭოს შესაბამის რეზოლუციებს. „მას შემდეგ, რაც მოისმინეს ყველა აზრი, უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ გამოიტანა დასკვნა: არ არის თანხმობა იმის თაობაზე, რომ არსებობს საჭირო პირობები ერაყის წინააღმდეგ შემოღებულ სანქციათა დადგენილი რეჟიმის შეცვლისათვის", —

შეერთებული შტატები კმაყოფილი დარჩა, ერაყის წინააღმდეგ სანქციათა შენარჩუნების გამო, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მადლენ ოლბრაიტმა. 20 იანვრიდან მოყოლებული, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბილ კლინტონი არაორაზროვნად აცხადებს, რომ შეერთებული შტატები არ აპირებს, შეცვალოს პოზიცია ერაყის მიმართ და უზრუნველყოფს ბაღდადის მიერ უშიშროების საბჭოს ყველა რეზოლუციის შესრულებას. ერაყს არ შეუსრულებია მრავალი ვალდებულება. კერძოდ, არ უთქვამს უარი მასობრივი მოსპობის იარაღის შექმნაზე, არ შეუწყვეტია რეპრესიები სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ. ერაყმა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთოს და ამიტომ, ჩვენ კმაყოფილი ვართ, უშიშროების საბჭოს დღევანდელი გადაწყვეტილებით", — აღნიშნა მ. ოლბრაიტმა.

სამშვიდობო წინადადებათა პაკეტი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ბუტროს ბუტროს გალიმ ორშაბათს გამოქვეყნებულ მოხსენებაში მოუწოდა უშიშროების საბჭოს, მოიწონოს ბოსნია-ჰერცეგოვინის შესახებ სამშვიდობო წინადადებათა პაკეტი. ბოსნიელ სერბებს მან მოუწოდა ხელი მოაწერონ წინადადებათა ამ პაკეტის ორ დანარჩენ ნაწილს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადმინისტრაციულმა მეთაურმა შეახსენა მათ, რომ სამშვიდობო წინადადებათა პაკეტი, რომელსაც ხშირად იწოდება პრესაში ვენს-ოუენის გეგმა, ახლა ოთხი კომპონენტისაგან შედგება. ეს არის კონსტიტუციური პრინციპები, შეთანხმება სამხედრო საკითხის თაობაზე, ავტონომიურ პროვინციებად ქვეყნის დაყოფის რუკა, აგრეთვე. მართვის დროებითი წესი, სამიდან ორმა ბოსნიის მხარემ — მთავრობამ და ბოსნიელმა ხორვატებმა ხელი მოაწერეს ოთხივე დოკუმენტს. ახლა არ ჰყოფნის ბოსნიელ სერბთა მხრივ ხელის მოწერა ქვეყნის დაყოფის რუკაზე, აგრეთვე. მართვის დროებითი წესის შესახებ დოკუმენტზე. დოკუმენტში ნახსენებია, რომ ბოსნია-სერბთა მხარემ განაცხადა, რომ აპირებს ეს დოკუმენტები თავის სკუპშჩინას გადასცეს. განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის.

თანათავმჯდომარეთა სამშვიდობო წინადადებების პაკეტი არის ერთადერთი არსებული მექანიზმი საიმისოდ, რომ აღდგეს მშვიდობა, სამართლიანობა და ადამიანის უფლებათა პატივისცემა ბოსნია-ჰერცეგოვინაში, განაცხადა დასასრულ ბუტროს გალიმ.

შეხვედრა ტოკიოში გაიმართება

მსოფლიოს შვიდი ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნის საგარეო საქმეთა და ფინანსთა მინისტრები 14-15 აპრილს ტოკიოში გამართავენ შეხვედრას რუსეთისათვის ეკონომიკური დახმარების გაწევის ახალი გეგმის შემუშავების მიზნით. ეს დაადასტურა აქ ლოურენს სამერსმა, რომელიც დანიშნეს ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრის მოადგილედ საერთაშორისო საკითხებში. რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები მიიწვიეს ამ შეხვედრაზე დასასწრებად, დასძინა მან.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარედაქციო ფოსტიდან

წერილი რედაქციას

„საქართველოს რესპუბლიკის" ამა წლის 27 მარტის ნომერში მხცოვანი მწერლის ბ-ნ კიტა ბუაჩიძის სტატიაში „პრეზიდენტი კომპარული ოპერეტიდან" ჩემი მისამართით თქმულ კეთილ სიტყვებთან ერთად, გამოქვეყნდა არაზუსტი ინფორმაცია, რის გამოც თავს მოვალედ ვთვლი განვაცხადო შემდეგი:

არაფერი მექნებოდა უარსაყოფი, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მართლა დავენიშნე ლიტერატურის მუზეუმის დირექტორად, მაგრამ მას ამ თანამდებობაზე, სინამდვილეში, სხვა კანდიდატურა ჰყავდა შერჩეული. დირექტორად კი დავინიშნე მხოლოდ და მხოლოდ მუზეუმის მთელი კოლექტივის სურვილით და რაც მთავარია, თვით ქ-ნ ი. ორჯონიკიძის პირადი ინიციატივითა და დაჟინებული თხოვნით.

პატივისცემით
გურამ შარაძე.
29.III.93.

•

„ურცხვი სიცრუის" პასუხად

„იბერია-სპექტრის" მთავარი რედაქტორი ირაკლი გოცირიძე თავის რეპლიკაში — „ურცხვი სიცრუე" („იბერია-სპექტრი", № 69) ბრალს მდებს იმაში, რომ მე ჩემი წერილი „კვალი „ნათელის", ანუ ვინ წერს და ვისზე წერენ" („საქართველოს რესპუბლიკა". 24.02.93) საერთოდ არ წარმიდგენია „იბერია-სპექტრის" რედაქციაში და ამასთან დაკავშირებით წერილის მინაწერში „ურცხვად ვიცრუე".

სინამდვილეში მე ჩემი აღნიშნული წერილი 19 თებერვალს საღამოს დაახლოებით 4 საათისათვის ჩავაბარე „იბერია-სპექტრის" რედაქციას და კარგადაც მახსოვდა (და მახსოვს) ვისაც ჩავაბარე. ი. გოცირიძემ კი ისარგებლა იმით, რომ წერილის ჩაბარების ფაქტი არ დავაფიქსირე, „ურცხვი სიცრუე" დამწამა.

ი. გოცირიძის რეპლიკაზე ჩემი პასუხი კი 4 მარტს წარვუდგინე „იბერია-სპექტრის" რედაქციას (რეგისტრაციის ნომერი 515) და ისიც ცხადი გახდა ჩემთვის, რომ პირველი წერილიც, სადაც ჯერ არს, სწორედ იქ ჩამიბარებია.

პასუხის წარდგენიდან გამოვიდა გაზეთის სამი ნომერი (№ 70-72), ჩემი წერილი კი არ ჩანს. ვფიქრობ, ი. გოცირიძეს სათანადო დრო ჰქონდა წერილის გამოქვეყნებისათვის.

ეჭვიც არ გვეპარება, რომ ეს ი. გოცირიძის მორიგი ფანდია. ის ვერ დაბეჭდავდა წერილს, სადაც იგი მხილებული იყო პატარ-პატარა ეშმაკობებში. მისი გათვლა კი აგებულია „იბერია-სპექტრის" ერთი კატეგორიის მკითხველზე, რომლებიც მათივე აღიარებით პრინციპულად არ კითხულობენ „საქართველოს რესპუბლიკასა" და მის მსგავს გაზეთებს. მან კი, რაც მთავარია, თავის მკითხველთა თვალში მამხილა, როგორც „ურცხვი სიცრუის" ჩამდენი და ამის შემდეგ აუტკივარ თავს რაღაზე აიტკივებდა.

ი. გოცირიძე თავის რეპლიკაში აღნიშნავს, რომ მათი გაზეთი სიამოვნებით დაბეჭდავს საწინააღმდეგო თვალსაზრისების შემცველ წერილებს. ვერ დაბეჭდავს მხოლოდ ისეთებს რომელთაც მსოფლიოს არცერთი გაზეთი არ დაბეჭდავდა. ამ წერილის გაცნობის შემდეგ მკითხველმა თავად განსაჯოს, რამდენად გულწრფელია ამ სიტყვებში ი. გოცირიძე.

მიხეილ მახარაძე.
24.03.93.

რეპლიკაში ბ-ნი ირაკლი გოცირიძე თავს იკავებს ჩემი წერილის არსის შეფასებისაგან, რადგანაც მისი აღნიშვნით: „—იგი ამ გაზეთისათვის (ესე იგი „საქართველოს რესპუბლიკისათვის"— მ. მ.) ჩვეული ისეთი დემაგოგიური და კომუნისტურად ტენდენციურია, რომ პატიოსან ადამიანებში, ბევრში მწარე ღიმილი გამოიწვია, უფრო მეტი — გულისწყრომა და აღშფოთება, მოკლედ, ფართო საზოგადოებრიობამ მას თავისი მიუზღო". საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე გათვლილი განცხადებაა და სიმართლესთან არაფერი უნდა ჰქონდეს საერთო. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ დღემდე ამის შესახებ „ფართო საზოგადოებრიობას" თავისი აზრი საჯაროდ არ გამოუთქვამს. შევნიშნავთ, რომ ეს ვითარება შენარჩუნებულია ახლაც, 24 მარტისათვის — (მ. მ.).

26 თებერვალს — პარასკევს ი. გოცირიძემ ორჯერ მომაკითხა სამსახურში, ფილოსოფიის ინსტიტუტში (ჯერ ეს რას ნიშნავს?). დატოვა ტელეფონის ნომერი და ცოტა ხნის შემდეგ ჩვენს შორის შედგა სატელეფონო საუბარი, სადაც მან ერთგვარი დაკითხვა მომიწყო (ამ საქმეში ის რომ დიდად გამოცდილია, ეს მკითხველს კარგად მოეხსენება). ჩვენს სატელეფონო საუბარს ი. გოცირიძე რეპლიკაში ასე გადმოსცემს:

„— **ბატონო მახარაძე, ვის ჩააბარეთ წერილი ჩვენს რედაქციაში?**

— ვის ჩავაბარე და... მანდ ჩავაბარე. თქვენს თანამშრომელს.

— სახელდობრ, რომელ თანამშრომელს, რომელ ოთახში?

— აი... **მემანქანეები რომ სხედან. გვარი არ მიკითხავს.**

— არც რედაქტორი არ მნახეთ, არც ჩემი მოადგილე, არც რომელიმე პასუხისმგებელი თანამშრომელი! რატომ მოექეცით ასე **უპატივცემულოდ ესოდენ სერიოზულ სტატიას?** თქვენ შეგიძლიათ, **მობრძანდეთ და მიმითითოთ რომელმა მემანქანემ გითხრათ ამ სტატიას არ დაგიბეჭდავთო?**

— **არა არ მახსოვს...**

— „საქართველოს რესპუბლიკაში" რომ მიიტანეთ წერილი, ვის ჩააბარეთ, **მემანქანეებს?**

— არა, პირადად რედაქტორს მივეცი.

— საჭიროებს ეს მოკლე დიალოგი კომენტარს!" (ხაზგასმა ყველგან ჩემია — მ. მ.).

ნამდვილად საჭიროებს და აი რატომ: ი. გოცირიძეს არც სატელეფონო საუბრისას ჩემთვის ბატონობით არ მოუმართავს;

სატელეფონო საუბრის ი. გოცირიძისეულ ვარიანტში ჩემს მიერ ხაზგასმული ფრაზები მხოლოდ რეპლიკაში გაჩნდა;

საუბარში საერთოდ არ მიხსენებია მემანქანეები. აღვნიშნე, რომ წერილი დავტოვე ოთახში, სადაც საბეჭდი მანქანები იყო.

ი. გოცირიძის რეპლიკაში გაქრა ფრაზები დიალოგიდან, რაც მას ხელს არ აძლევდა. ი. გოცირიძემ მითხრა, რატომ ფიქრობთ, რომ მაშინვე უნდა მიგვეცა თქვენი წერილიო. ამასთან მან მთხოვა, თუ ვიყავი თანახმა ჩვენი სატელეფონო საუბრის გამოქვეყნებისა, მე დავეთანხმე. თვით ეს ფაქტი არ უნდა ყოფილიყო აღნიშნული?

სატელეფონო საუბრის ჩვენეული გადმოცემებით მკითხველს გაუჭირდება სიმართლის დადგენა, ამიტომაც სჯობს ვილაპარაკოთ ფაქტებით.

ი. გოცირიძე რეპლიკაში აღნიშნავს, რომ ჩემი მინაწერის მიხედვით მე წერილი რედაქტორისთვის გადამიცია. ეს აზრი მან სატელეფონო საუბარშიც გამოთქვა. მე ვურჩიე მას, რომ კარგად წაეკითხა ჩემი მინაწერი. მაგრამ ი. გოცირიძემ რეპლიკაში ეს აზრი მაინც ისე დააფიქსირა, როგორც მას უნდოდა. არადა, მინაწერში გარკვევით მიწერია, რომ წერილი „წარედგინა „იბერია-სპექტრის" რედაქციას". რაში დასჭირდა ეს მანიპულაცია ი. გოცირიძეს? მხოლოდ იმისათვის, რომ ამ მანიპულაციით უფრო შთამბეჭდავი გაეხადა ჩემი „ურცხვი სიცრუე".

რეპლიკაში ი. გოცირიძე ფილოსოფიის ინსტიტუტს, რომელიც ყოფილი „იმელის" შენობაშია მოთავსებული სამ ათეულ წელზე მეტია, წარმოადგენს, როგორც ხელისუფლების ფრთებქვეშ შებუდებულად (ინსტიტუტს რაღას ერჩოდა?). ისე კი ი. გოცირიძეს შევახსენებდით, რომ მაშინ, როცა თვითონ თავისი პუბლიკაციებით უმღეროდა და უგალობდა დიად საბჭოეთს, ამ დროს „ხელისუფლების ფრთებქვეშ შებუდებულ" ინსტიტუტში იკვლევდნენ და ღირებულად მიიჩნევდნენ იმ დროისათვის, კომუნისტების აზრით საბჭოთა იდეოლოგიისათვის საშიშ და მიუღებელ დასავლეთის ფილოსოფიის საუკეთესო ქმნილებებს.

ბ-ნი თ. მირიანაშვილის წერილში მხილებულია ი. გოცირიძე, როგორც „დონოსების" ოსტატი. ჩემს წერილში ამ საკითხს შეგნებულად ავუარე გვერდი და არ გავიხადე იგი მსჯელობის საგნად. მაგრამ, რომ იტყვიან, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, მართალი ყოფილა. იმის მიუხედავად, რომ „დონოსების" დრო წარსულს ჩაბარდა, ი. გოცირიძე ინერციით კვლავ აგრძელებს ამ საძრახის საქმიანობას. აი კლასიკური ნიმუში „დონოსისა": ი. გოცირიძე აღწერს მის სტუმრობას ფილოსოფიის ინსტიტუტში: „მივედი. ინსტიტუტი, **ალბათ უსაქმობის გამო, აბსოლუტურად ცარიელი** იყო, დამხვდა მხოლოდ უამრავი მაგიდები და ერთადერთი მინიატურული ქალბატონი, ყველას მაგივრად მე ვარ მორიგეო". აქ გოცირიძემ, როგორც ხედავთ ჩვენი თანამშრომელი — სათნო ქალბატონიც დამბეზღებლის როლში წარმოადგინა.

სატელეფონო საუბრიდან ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ი. გოცირიძე სწორედ იმას მისაყვედურებდა, რომ პარასკევს საღამოთი წერილი წარმოადგინე, შაბათ-კვირა უქმე დღეებია, ორშაბათი უკვე სტამბის დღე გვქონდა და როგორ შევძლებდით თქვენი წერილის გამოქვეყნებას ასე სწრაფადო. ამაზე ფიქრმა შემაწუხა. მაგრამ გაგიგონია?! ი. გოცირიძემ ისარგებლა იმ გარემოებით, რომ მე წერილის ჩაბარების ფაქტი არ დამიფიქსირებია და უბრალოდ გადაწყვიტა ყველაფერი: „ამ მახარაძეს ჩვენს რედაქციაში არავითარი წერილი არ მოუტანია". მიდი ახლა და თუ ბიჭი ხარ იმართლე თავი.

„იბერია-სპექტრს" და მის მხარდამჭერებს თუკი ვინმე არ მოეწონებათ ატეხენ ერთ ამბავს: „ვინ არის ეს?" „რას წარმოადგენს?" და ა. შ. ჩემი მისამართით კი ი. გოცირიძე აღნიშნავს „ეს მახარაძე", „ამ მახარაძემ", „მახარაძემ", „მითხრეს პროფესორიაო" და სხვ. თუ არ გიცნობენ ამისათვის თავს ვერ მოიკლავ კაცი, მაგრამ თუკი „იბერია-სპექტრის" მთავარმა რედაქტორმა არ იცის ავტორი, რომლის პოზიციაც დიამეტრალურად განსხვავდება მისი პოზიციისაგან ერთსა და იმავე საკითხებზე და ეს არაერთხელაა გამჟღავნებული საჯაროდ, ეს თვით რედაქტორს ვერ ახასიათებს კარგად.

აქ ერთ ფაქტსაც მოვიტან, რამაც წესითა და რიგით ცოტა უხერხულ მდგომარეობაში უნდა ჩააყენოს ი. გოცირიძე. კერძოდ: მე გახლავართ ვრცელი წერილის ავტორი დავით კლდიაშვილის პროზის ზნეობრივ ასპექტებზე, სადაც სულ სხვა კუთხითაა დანახული დიდი მწერლის შემოქმედება (არაა ლაპარაკი იმაზე, სწორია თუ არა ეს პოზიცია). ამასთან ეს წერილი გამოქვეყნებულია არა რომელიმე მცირეტირაჟიან სამეცნიერო კრებულსა ან რაიონულ გაზეთში, არამედ ისეთ პოპულარულ ჟურნალში, როგორიცაა „განთიადი" (№ 2, 1985). ი. გოცირიძე კი დავით კლდიაშვილის შვილიშვილი გახლავთ და ამის გარეშეც ცნობილ ჟურნალისტსა და დიდმა ინტელიგენტმა (როგორადაც მიიჩნევენ მისი თაყვანისმცემლები) ეს ფაქტი არ უნდა იცოდეს?

ი. გოცირიძე ჩემი წერილის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ მხოლოდ ტექნიკურ მხარეს შეეხო. მართლაც, რომ „ურცხვად მეცრუა", განა ეს ვინმეს ათავისუფლებდა წერილში გამოთქმულ შენიშვნებზე პასუხისმგებლობისაგან? არადა, წერილში იყო შენიშვნები და შეკითხვები (რეპლიკაში ჩემი წერილის მისამართით ხომ ყოველგვარი ბრჭყალების გარეშე წამოცდა ი. გოცირიძეს „ესოდენ სერიოზული სტატია?"), რომლებზე პასუხებიც ბევრ რამეს გაარკვევდა.. მათზე დუმილი და გვერდის ავლა, ამ შენიშვნების მართებულობას ხომ არ ადასტურებს?!

მიხეილ მახარაძე.
4.02.93 წ.

•

თვალს ნუ ეხუჭავთ, ბატონო გენერალურო პროკურორო!

(ღია წერილი საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს ბ-ნ თედო ნინიძეს)

ბატონო პროკურორო! როგორც იტყვიან, მოთმინების ფიალა აივსო და იძულებული ვხდები ასეთი ფორმით მოგმართოთ. თქვენ შესანიშნავად უწყით ექსპრეზიდენტის მომხრე გაზეთების, უფრო სწორედ, მისი რუპორების „იბერია-სპექტრის", „საქართველოს სამრეკლოს", „საშუალო ფენის" არსებობა და ისიც უწყით, თუ რა იბეჭდება იქ. შეგახსენებთ: თავხედური ცილისწამება, ცოფმორეული ზიზღი ჩვენი სინამდვილის მიმართ, აი, მოკლედ, ამ გაზეთების სულისკვეთება და ისიც იმ დროს, როდესაც ჩვენი სამშობლო ომის ქარცეცხლშია გახვეული.

ბატონო პროკურორო! ღმერთმა დამიფაროს, რომ მე სიტყვისა და პრესის თავისუფლების წინააღმდეგ ვილაშქრებდე, მე, ვლადიმერ ბუკოვსკის მეგობარი და ყოფილი პოლიტპატიმარი პერმისა და მორდვეთის ლაგერებისა (1969-1975 წლებში), მაგრამ ყველაფერს თავისი ზღვარი აქვს: როდესაც ბეჭდავენ, რომ 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნები იარაღის მუქარით ჩატარდა, როდესაც „ზვიადისტური" გამოსვლების მსხვერპლთა რიცხვი თბილისში ნაცვლად რამდენიმე კაცისა ასეულობით ფასდება, მაპატიეთ, მაგრამ ეს ბოროტი ცილისწამებაა, გათვლილი გულუბრყვილო და ნაკლებ მოაზროვნე ხალხის ასამხედრებლად.

თქვენ ალბათ, იტყვით, ვინმემ უნდა უჩივლოს და მხოლოდ ამის შემდეგ აღძრავთ მათ წინააღმდეგ საქმეს. მაგრამ, საკითხავია, ვის უნდა იჩივლოს, როდესაც თვით ხელისუფლებასა და მთავრობას აგინებენ ხულიგნური ენით (მათი ციტირებით ქაღალდს არ შევბღალავ) და გარდა ამისა, ხომ დაიბეჭდა საჯაროდ აღნიშნულ გაზეთებზე მომჩივან-მამხილებელი წერილები ბ-ნ ჯანსუღ ჩარკვიანისა, გაზეთ „დრონის" კორესპონდენტის ბ-ნ თეიმურაზ ქორიძისა და სხვათა. რატომ ხუჭავთ თვალს? ან იმაზე რას გვიბრძანებთ, რომ გაზეთი „საქართველოს სამრეკლო" წესდების დარღვევით გამოდის, რასაც იუსტიციის სამინისტრო ადასტურებს (იხ. გაზ. „ერი", 25-31 მარტი 1993 წ.)?

ბატონო პროკურორო! მე კარგად მახსოვს სახელმწიფო საბჭოს ის სხდომა, რომელზეც მე სტუმრის სტატუსით ვესწრებოდი, თუ რა აღშფოთებას გამოთქვამდით თქვენ ტერორისტ ზაზა წიკლაურის ცემის გამო. მაგრამ მაშინ თქვენ გენერალური პროკურორი არ ბრძანდებოდით. რატომ არ ისმის დღეს თქვენი სიმართლისმოყვარე ხმა? მოკლეს თქვენი კოლეგა, პროკურორი ქურდაძე, მეტროს სამმართველოზე განხორციელდა დივერსია, რომელიც ერთი ჩამოთვლილი, რაშიც, ალბათ, უკანასკნელ როლს არ თამაშობს ხსენებული გაზეთებით ტვინგადაბრუნებული ხალხი. რას ფიქრობთ, რას მოიმოქმედებთ?! ერთი მითქმა-მოთქმაა ირაკლი გოცირიძეს, ავთანდილ რცხილაძეს და სხვა ოდიოზურ პიროვნებებს სარკმლები დაუცხრილესო. რატომღაც ხელისუფლების წარმომადგენლების (პროკურორ ქურდაძეს) ტყვია სასიკვდილოდ ხვდებათ, ხოლო ზემოხსენებულნი მხოლოდ „შეაშინეს". აი, ახლა მე ვამტკიცებ, რომ ხსენებულმა ოდიოზურმა პიროვნებებმა თვითონ დააცხრილვინეს საკუთარი ფანჯრები დემაგოგიის მიზნით და, იმედია, ახლა მაინც აღძრავთ საქმეს ჩემს წინააღმდეგ „ცილისწამების" გამო!

ერთხელ მაინც დაინტერესდით, ვინ აფინანსებს ამ გაზეთებს?

თეიმურაზ პანტურიშვილი,
ყოფილი პოლიტპატიმარი
26 მარტი, 1993 წ.

სარედაქციო ფოსტიდან

არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ

„პლაფერონს" ვუმადლი

„7 წელი მტანჯავდა კანის უმძიმესი დაავადება — ფსორიაზი. სარკეში ველარ ვიხედებოდი, ზაფხულის კაბა ვერ ჩამეცვა... და აი, მე ბედნიერი ვარ, სიხარულით ველი ზაფხულის დადგომას. ამ ბედნიერებას პრეპარატ „პლაფერონს" ვუმადლი, რომელიც პროფესორმა ჯონდო მერაბიშვილმა გამომიწერა. ერთი კურსის ჩატარებამ უკვე საოცარი შედეგი გამოიღო. თქვენ ძალიან საინტერესო წერილებს ბეჭდავთ განყოფილებაში — „არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ". იქნებ, ეს ჩემი წერილიც გამოაქვეყნოთ? ვიცი, ფსორიაზი ბევრს ტანჯავს. გთხოვთ ისიც დაწეროთ, კიდევ რას უხდება ეს წამალი.

ზ. აბდუშელიშვილი,
საჩხერის რაიონი

პრეპარატ „პლაფერონს" ამზადებს იტალია-საქართველოს ერთობლივი საწარმო „უნიფარმი", რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტთან არსებობს. მკითხველის წერილი ჩვენ გადავეცით **ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ ვლადიმერ ბახუტაშვილს, რომლის ხელმძღვანელობით შეიქმნა „პლაფერონი". აი, რა გვიამბო მან:**

„პლაფერონმა" წარმატებით გაიარა კლინიკამდელი და კლინიკური გამოცდის ყველა ეტაპი. ამ პრეპარატის მრავალმხრივ თერაპიულ ეფექტს განაპირობებს მისი ანთების საწინააღმდეგო, იმუნომამოდულირებელი, ანტიჰიპოქსური, დეზინტოქსიკაციური და ანტივირუსული მოქმედება. „პლაფერონი" გამოიყენება შემდეგი დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის: გრიპი, ჰეპატიტი, ენცეფალიტი, ჰერპესული ინფექციები, პოლირადიკულონევრიტი, მიოკარდიტი, თვალის ვირუსული ინფექციები და სხვა. გრიპის ეპიდემიის დროს პრეპარატს უნიშნავენ იმ ადამიანებს, ვისაც აქვს გულის იშემიური დაავადებანი, გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა, დიაბეტური ანგიო და ნეიროპათია. პრეპარატს გამოიყენებენ აგრეთვე პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთების, პაროდონტიტების, პოლინეფრიტების, ღვიძლისა და თირკმლის უკმარისობის, ფსორიაზული და სხვა ეტიოლოგიის ართროპათიების, დამწვრობით და ალკოჰოლური ინტოქსიკაციის დროს, როგორც ადიუვანტური საშუალება ქიმიო და სხივური თერაპიის დროს, აგრეთვე ნარკოზის შემდგომი გართულებების პროფილაქტიკისათვის.

საანგარიშო კრებები სოფლად

სამწლიანი შესვენების შემდეგ

ზემო არცევის მეურნეობაში საანგარიშო კრება ბარე სამი წელია არ ჩატარებულა. ადრე, კრებებზე, როგორც წესი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელები მოდიოდნენ.

ამ დღეებში, სამწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ, მეურნეობის კანტორაში კვლავ შეგროვდა ხალხი.

დამსწრეები (პირველად მეურნეობის ისტორიაში) გორის რაიონიდან ამოვიდნენ, რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე ვალერი სუხიშვილი და სამმართველოს სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

მეურნეობის დირექტორის ნიკო ტერუნაშვილის, კამათის მონაწილეთა გამოსვლებში, მთავარი — ამ მხარეში უაღრესად დაძაბული სიტუაციის განხილვა-მსჯელობა იყო. ადრე ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული ეს ქართული სოფელი (ოსური მოსახლეობა მისი ერთი უბანია მხოლოდ) არავის უთმობდა პირველობას. არცეველები 1500 სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს უვლიდნენ, ჰყავდათ 500 ძროხა, წლიურად 1000-მდე ტონა რძეს აწარმოებდნენ, 12 ტონა ყველს, 100 ტონა ხორცს; დაუმატეთ ამას ხილი, შაქრის ჭარხალი, ბოსტნეული, ვენახი.

უკანასკნელ წლებში სამაჩაბლოში ატეხილმა ომმა მეურნეობის ეკონომიკა, რომ იტყვიან ყუაზე დაიყვანა. შინაურმა და გარეულმა, ყველამ, ერთნაირად მოითბო ხელი სახელმწიფო სიმდიდრეზე — დაიტაცეს საქონელი, გაკრიფეს მეურნეობის ბაღები, დააცარიელეს მარცვლეულის საწყობები.

ოსმა ექსტრემისტებმა სოფლის არა ერთი და ორი ახალგაზრდის სიცოცხლე ინაცვალეს. სოფელში დღესაც ფეთქებადი სიტუაციაა. ამ დღეებში უცნაურ ვითარებაში მეურნეობის ფერმაში მხეცურად მოკლეს ახალგაზრდა მწყემსები ჟორა დვალიშვილი და მურაზ ცაციაშვილი. მკვლელი, მშვიდობის ოსური ბატალიონის ოფიცერი დააკავეს, მაგრამ მერე გაქცევიათ. ახლა გორის პროკურატურა იძიებს საქმეს. ის კი, ორი ქართველი ბიჭის მკვლელი, ზის ცხინვალში და ელოდება: გორიდან — დაპატიმრების ორდერს, კულუმბეკოვისაგან კი — საბრძოლო დამსახურების ორდენს.

საინტერესოა, რა ერგება.

თურმე ნუ იტყვით, და დღემდე არსებობს ზემო არცევის „ემიგრანტული ხელისუფლება", რომელიც ცხინვალში ზის და „მოღვაწეობს", ზემო არცევის „სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე", მეურნეობის „დირექტორი" თავიანთი „შტატით" ხელფასებსაც იღებენ და ელოდებიან — „სამართლიანობის აღდგენას" — ზემო არცევის „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საზღვრებში" მოქცევას.

სამუშაო დაგროვდა ბაღ-ვენახში, თქვეს კრებაზე გამოსულებმა, მაგრამ იმის გამო, რომ ხალხი დაშინებულია, სამუშაოდ აღარ გამოდიან. ორატორებმა გაიხსენეს, შარშან მაღალ ზონაში მოუთიბავი რომ დარჩათ 100 ჰექტარი იონჯის ფართობი. ოს ექსტრემისტებს მინდორი დაენაღმათ და ტრაქტორისტი აფეთქდა კიდეც ნაღმზე, საბედნიეროდ, საღ-სალამათი გადარჩა.

მშვიდობა და ცოტა ხელშეწყობა — სხვას არაფერს თხოულობენ სოფლელები. ბუნებრივი გაზი არ ჰქონდათ და თავად გამოიყვანეს, სასმელი წყალიც თავად მოიყვანეს სოფელში, სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებზეც თავად დარბიან. ყოფილი ავტონომიური ოლქის მესვეურებს უპატრონოდ ჰყავდათ არცეველები მიტოვებული (ქართული სოფელი იყო) და ეს ხალხი თავის გასაჭირს თავადვე უვლიდა.

ამიერიდან მასზე ადგილობრივი თვითმმართველობაც იზრუნებს: ტექნიკითაც შეეშველება, სათადარიგო ნაწილებსაც უშოვის, შხამქიმიკატებსაც შემოიტანს.

ჩუმი, ჭირთამთმენი ხალხია არცეველები.

გურამ პავლიაშვილი.

საზღვარგარეთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის უძრავ-მოძრავი ქონების, არქივის დადგენისა და მიღების საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის განცხადება

საზღვარგარეთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის უძრავ-მოძრავი ქონების დადგენისა და არქივის დაბრუნების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით შეიქმნა საზღვარგარეთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის უძრავ-მოძრავი ქონების, არქივის დადგენისა და მიღების საკითხების შემსწავლელი კომისია. ამ საკითხებთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება და სისტემაში მოყვანა დაევალა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის კვლევით სამსახურს.

კომისია მიმართავს თხოვნით საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც აქვს რაიმე ინფორმაცია ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით, მიაწოდოს იგი პარლამენტის კვლევით სამსახურს შემდეგ მისამართზე: 380008, რუსთაველის გამზ. № 29, პარლამენტის შენობა, ოთ. № 330, პარლამენტის კვლევითი სამსახური.

ეს მამულიშვილური საქმე დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან. ყველა კერძო პირსა თუ ორგანიზაციას, ვისაც აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ჩვენი ერის კუთვნილი საუნჯის დაბრუნების საქმეში გაცნობებთ, რომ ფონდში „დემოკრატია და აღორძინება" გახსნილია სპეციალური ანგარიში № 70000558 საქართველოს რესპუბლიკის ექსპორტისა და იმპორტის ბანკი კოდი 805225.

კომისიის თავმჯდომარე საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი
კ. კემულარია.

უცხოეთის პრესიდან



გაზეთი „სოვეტსკაია როსსია".

ოფიციალური წყაროებიდან

სახელმწიფო პროგრამა ნარკომანიის წინააღმდეგ

27 მარტს გაიმართა სახელმწიფოს მეთაურის მრჩეველთა საბჭოს მორიგი სხდომა. სხდომის დღის წესრიგში იდგა ერთადერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი — „საქართველოს რესპუბლიკაში ნარკოტიზმის, ნარკობიზნესისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის" პროექტის განხილვა.

თავისთავად ფაქტი ამგვარი პროგრამის შექმნისა უპრეცედენტო და მისასალმებელია, აღინიშნა სხდომაზე, მაგრამ შემაშფოთებელია თავად მიზეზი, რამაც წარმოშვა ამგვარი პროგრამის შექმნის აუცილებლობა. სახელმწიფოს მეთაურის მრჩეველთა საბჭოს წევრებმა ვითარება უკიდურესად დამძიმებულად მიიჩნიეს. აღნიშნეს, რომ დემორალიზებულია სამედიცინო დაწესებულებები, არის სამედიცინო პერსონალზე, საავადმყოფოებსა და საწყობებზე თავდასხმის შემთხვევები, ქვეყანა კატასტროფის წინაშე შეიძლება დადგეს, ამიტომ, წარმოდგენილ პროგრამას უნდა მივუდგეთ, როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეს. გამოითქვა აზრი, რომ საქართველოში ნარკოტიზმის, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის მხრივ, ვითარების გასაუმჯობესებლად საქართველო ინტეგრირებული უნდა იქნეს მსოფლიო ანტინარკომანიულ მოძრაობაში.

კამათში მონაწილეობდნენ ანზორ გაბიანი, თედო ნინიძე, ირაკლი მენაღარიშვილი, გელა ლეჟავა, ნაირა გელაშვილი, როინ მეტრეველი. გამოითქვა რამდენიმე განსხვავებული აზრი, მიდგომა ამ საპრობლემო საკითხისადმი. სხდომის წევრებმა ისიც აღნიშნეს, რომ ერთგვაროვანი საშუალებებით ბრძოლა ამ პრობლემის ლიკვიდაციისათვის არ არსებობს, რომ ამ საკითხებზე მუშაობისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური ფაქტორი. ცივილიზებულ სამყაროში დამოკიდებულება, მიდგომა ამ საკითხისადმი ერთობ ფაქიზია. სიტყვები „იძულებითი" „დამნაშავე", რომლებიც ასე ხშირად და მკვახედ გაისმოდა უახლოეს წარსულში, ყოვლად მიუღებელია, რადიკალურად უნდა შეიცვალოს მკურნალობის არაცივილიზებული სისტემაც. ძველი საშუალებებით ბრძოლა კეთილ ნაყოფს ვერ გამოიღებს და არც შედეგიანი იქნება.

სხდომის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. მან აღნიშნა, რომ ამ ეროვნული ტრაგედიის ტოლფასი პრობლემის განხილვა და მასთან ბრძოლა ზერელედ არ შეიძლება, რომ ფუნდამენტი ამ პრობლემის წარმოშობისა გახდა ჩვენი დაძაბუნება, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ველოდოთ ეკონომიკურ აღორძინებას. ჩვენ უნდა ჩავწვდეთ სიღრმეებს, უნდა დავიწყოთ ფიქრი და ზრუნვა იმაზე, თუ რატომ ხდება ადამიანი ნარკომანი, უნდა გავითვალისწინოთ მისი აღზრდის, ჩამოყალიბების პროცესი, და ამ გზაზე უამრავი ახალი პრობლემა დაგვხვდება წინ — ეს არის ჩვენი ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზება, ეს არის ჩვენი პედაგოგების ზრუნვა, დაწყებული საბავშვო ბაღებიდან. „თუ გვინდა, ხვალინდელ დღეზე ვიფიქროთ, უნდა ვიფიქროთ ამ პრობლემებზე", — თქვა ბატონმა ედუარდმა. მან წამოაყენა წინადადება ამ პრობლემებთან ბრძოლაში გაერთიანდნენ და ძალ-ღონე არ დაიშურონ მეცნიერებათა აკადემიამ, განათლების, ჯანმრთელობის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის სამინისტროებმა, პროკურატურამ, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურმა, ფსიქოლოგებმა. ნარკომანიასთან ბრძოლაში მთელი მსოფლიო დაგვიჭერს მხარს, — აღნიშნა ბატონმა ედუარდმა, — რადგან ისინი ნათლად ხედავენ იმ საშიშროებას, რომ საქართველო შეიძლება ერთგვარ ხიდად იქცეს აზიასა და ევროპას შორის ნარკობიზნესის შემდგომი გავრცელებისათვის. საქართველოს თავის მხრივ. არ შეუძლია უარი თქვას ამ, მისთვის მომგებიან, მდგომარეობაზე, მაგრამ საქართველო იმავე დროს გარანტიც უნდა იყოს, რომ ეს სატრანზიტო გზა არ გადაიქცევა ნარკობიზნესის ახალ კერად.

სახელმწიფოს მეთაურმა სხდომას დაავალა ერთი კვირის ან ათი დღის ვადაში დაასრულოს ამ პროგრამაზე მუშაობა და წარუდგინოს საბჭოს დასამტკიცებლად.

წერილების ექო

◉

„საოცნებო 23-ე მარშრუტი"

რედაქციას უპასუხებს საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრი მიხეილ გურგენიძე

სამინისტრომ შეისწავლა ა. წ. 23 მარტის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული „სრ" ჟურნალისტური გაერთიანება „პოლიტიკის" წერილის „საოცნებო 23-ე მარშრუტი" სისწორე, რომელიც შეეხებოდა ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტების, პედაგოგების სატრანსპორტო მომსახურების საკითხს, კერძოდ № 23 საავტობუსო მარშრუტის აღდგენას.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მარშრუტზე შეფერხებები გამოწვეული იყო საწვავით მომარაგებაში არსებული სიძნელეებით. ამჟამად მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორებულია, თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებაში შექმნილია საწვავის გარკვეული მარაგი და № 23 მარშრუტზეც მოძრაობა აღდგენილია. ამასთან, მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით აღნიშნულ მარშრუტზე ავტობუსების მუშაობა გადაყვანილია ნახევრადექსპრესულ რეჟიმზე (სვლაგეზი № 236). სტუდენტი ახალგაზრდობის სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად მგზავრობის ღირებულება მათთვის ნაცვლად 10 მანეთისა დაწესდა 5 მანეთის ოდენობით.

გავითვალისწინეთ რა ზოოვეტერინარული ინსტიტუტის მიმართულებით მგზავრთა მომსახურების სპეციფიკა, 10 თებერვლიდან არსებულის გარდა ბარათაშვილის ხიდიდან ყოველდღიურად დილის 8 საათიდან სრულდება 2 სპეცრეისი, რაც აკმაყოფილებს მგზავრთა მოთხოვნებს. ამასთან ერთად აღნიშნული მარშრუტის ავტობუსების მუშაობაზე დაწესებულია კონტროლი.

ამერიკის შეერთებული შტატები — ვაშინგტონი

იურისტთა მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტს ბატონ ფრანკლინ ნოეტ-ლინარს!

საქართველოს იურიდიული საზოგადოებრიობა მოგმართავთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, საქართველოს რესპუბლიკაში ამჟამად შექმნილ მძიმე ვითარებასთან დაკავშირებით და გაუწყებთ შემდეგს:

როგორც მსოფლიოსათვის ცნობილია, დღეს საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს შეიარაღებულ ძალთა საომარი მოქმედებები ქართველთა და აფხაზთა შორის, რის შედეგად, ორივე მხრიდან იღუპებიან ადამიანები, ნადგურდება მატერიალური ფასეულობანი. ეს კონფლიქტი, რომელიც წამოიწყო აფხაზი მოსახლეობის მხოლოდ სეპარატისტულად განწყობილმა ნაწილმა, როგორც ფაქტები მოწმობენ, ინსპირირებულია რუსეთის იმპერიული სულისკვეთებით გამსჭვალულ პოლიტიკოსთა რეაქციული ძალების მიერ და მიმართულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის წინააღმდეგ. მით უფრო, უპრეცედენტოა რუსეთის აღნიშნულ ძალთა პოზიცია თვით რუსეთის სახელმწიფოს მიერვე საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებული ქვეყნის, — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრის მიმართ. არსებითად, ეს მოასწავებს ამ ორგანიზაციის ფუძემდებლური პრინციპების სრულ უგულებელყოფას, რამდენადაც ყოველგვარი ცდა, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად მიმართულია ქვეყნის ეროვნული ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, შეუთავსებელია მის წესდებასა და მიზნებთან.

ბატონო პრეზიდენტო, ასეთი მოსაზრების საფუძველს იძლევა რიგი გარემოებები, რომელიც გამოიხატა ამ საომარ ოპერაციებში აფხაზ სეპარატისტთა მხარეზე რუსეთის შეიარაღებული ძალების აქტიურ მონაწილეობაში, რუსეთის პარლამენტში გამოთქმულ განცხადებებში და მის გადაწყვეტილებებში, ცალკეული მაღალი რანგის თანამდებობის პირთა აგრესიულ გამონათქვამებსა და დაუშვებელ მოქმედებებში.

გამოვხატავთ რა შეშფოთებას, საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, ვიმედოვნებთ, რომ იურისტთა ასოციაცია თქვენი მეთაურობით ყოველ ღონეს იხმარს, რათა დემოკრატიული ქვეყნებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს ობიექტური ინფორმაცია საქართველოში წარმოებული ომის შესახებ. ამასთან მიმართავს, მსოფლიოს საზოგადოებრიობის აზრს, იქითკენ, რომ კეთილი ნების ადამიანებმა არ დაუშვან ქართველ-აფხაზთა კონფლიქტში ნებისმიერი მესამე ძალის ჩარევა, რაც ქმედითად შეუწყობს ხელს მის მშვიდობიან მოგვარებას.

პატივისცემით,

ზურაბ რატიანი,
საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხამს სტუმარი სასურველი



ემუხვარი ეძებს მშვიდობას

წყალტუბოელი კაცი ითქმის ამჟამად გივი ემუხვარი. ასე ინება ბედმა — ბრწყინვალე აფხაზი თავადის, 1918-21 წლებში დამოუკიდებელ საქართველოში შემავალი ავტონომიური აფხაზეთის პირველი თავმჯდომარის არზაყან ემუხვარის ვაჟიშვილი მშობელი მიწიდან ლტოლვილი გახადა, ქვეყანა მოატარა და ბოლოს წყალტუბოში აპოვნინა ნავსაყუდელი.

აქ ცხოვრობს იგი კარგა ხანია...

პარიზს უმზადებდა ბედი მამამისს — არზაყან ემუხვარს: შემოვიდნენ „წითლები" და აფხაზეთის პირველი თავმჯდომარე იძულებული შეიქნა ნოე ჟორდანიასთან ერთად გადახვეწილიყო ემიგრაციაში, რათა იქ ერთად ეღვაწათ საქართველოსა და მასში შემავალი ავტონომიური აფხაზეთის [illegible] დამოუკიდებლობის აღსადგენად. მათ მართლაც საკუთარ მხრებზე გადაიტანეს პოლიტიკური ბრძოლის სიმძიმე და ახლაც ერთად განისვენებენ საფრანგეთში, ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

საფრანგეთში გაჰყვა არზაყან ემუხვარს უსუსური ბავშვის (გივი 14 თებერვალს დაიბადა, ხოლო კომუნისტები, მოგეხსენებათ, 25-ში შემოვიდნენ), მალარიით ავადმყოფი დედის, მეუღლის (იგი ქუთაისელი ჩიქვაიძის ქალი იყო) უფროსი ვაჟიშვილის — ვლადიმერის (რომელიც შემდეგ — სისხლიან 37-ში — დახვრიტეს) გაუნელებელი დარდი.

გივი ემუხვარის ოჯახში დღესაც უძვირფასესი რელიკვიაა მამის მიერ უცხოეთიდან ცოლშვილისათვის ქართულ ენაზე გამოგზავნილი წერილები, რომლებშიც აფხაზი თავადი ვაჟიშვილებს ურჩევს ყოველდღე იკითხონ „ვეფხისტყაოსანი", ილია, აკაკი... რათა ღირსეული შვილები გახდნენ საქართველოსი.

არზაყან ემუხვარისა და მისი ოჯახის ისტორია ამ რამდენიმე წლის წინათ პროფესორმა გურამ შარაძემ გააცნო ფართო საზოგადოებრიობას. შეიძლება ითქვას, მაშინ „წამოტივტივდა" გივი ემუხვარის პიროვნებაც. მისით დაინტერესდა ქართული, აფხაზური პრესა, რადიო, ტელევიზია....

1989 წლის ზაფხულში, აფხაზეთში დატრიალებული ტრაგიკული ამბების შემდეგ, ბატონმა გივიმ, როგორც ეს ჭეშმარიტ აფხაზს ეკადრებოდა, ყოველნაირად ეცადა თავისი წვლილი შეეტანა სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაკიდებული ორი ერის შერიგების საქმეში. რა გასაკვირია და, გივი ემუხვარს უამრავი ნათესავი, ნაცნობ-მეგობარი ჰყავს აფხაზეთში... ჰოდა, დადიოდა იგი სოფლად თუ ქალაქად, ესაუბრებოდა აფხაზი სეპარატისტებისგან გაბრიყვებულ ადამიანებს... ვაი რომ, დიდი არაფერი გამოვიდა ამ სასიკეთო მცდელობისგან...

კიდევ ერთხელ ცდის გივი ემუხვარი, ამას ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი ძმობა ავალებს, სამშობლოზე დარდით გათავებული, უცხო მიწაში განსვენებული მამის ხსოვნა უკარნახებს.

იგი რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა თბილისში, უფრო სწორად — თხოვეს და ჩამოვიდა.

— დამირეკეს წყალტუბოში და მითხრეს, საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის საკითხთა შემსწავლელი კომისია გთხოვთ ჩამობრძანდეთო... პირადად ბატონ ნიკო ჭავჭავაძეს უნდა თქვენთან შეხვედრაო...

ჩვენ რედაქციაში ვსაუბრობთ. გაეხარდა, მეც წყალტუბოს რაიონიდან ვარ-მეთქი, რომ ვუთხარი, საერთო ნაცნობებიც გამოგვიჩნდა...

— ალბათ, კომისიის მუშაობაში მიიღებთ მონაწილეობას, არა?

— ეტყობა... მე ვალდებულად ვთვლი თავს ყოველნაირად შევუწყო ხელი ამ კომისიის მუშაობას, ორი ერის ურთიერთობაში გაჩენილი ნაპრალის ამოვსებას, ჩატეხილი ხიდის აღდგენას. აფხაზი და ქართველი ძველთაგანვე იყვნენ ხორციელი (და არამც და არამც შესისხლხორცებული). ეს კი ნიშნავს, რომ ერთნი იყვნენ... გეფიცებით, ღამეები არ მძინავს ამ უსაზღვრო უბედურების გამო... ვიღაცამ რომ გაგვთიშა, ვიღაცამ რომ აგვრია, ეგ ნაღდია...

— მაინც, რამ უნდა გვიშველოს, თქვენი აზრით?

— როგორმე უნდა შევრიგდეთ... ახლანდელმა, ვითომ აფხაზებმა, ანუ გააფხაზებულებმა, უნდა იწამონ ნამდვილი აფხაზების დანაბარები, რომ რწმენა, იმედი და სიყვარული გადაარჩენს ჩვენს ერებს. ამას უცხოეთიდან გამოგზავნილ ყოველ წერილში წერს, სხვათა შორის, მამაჩემი — არზაყან ემუხვარი...

— ბატონო გივი, იქნებ თქვენზე გვითხრათ ორი-ორი სიტყვა... აი, თუნდაც, როგორ მოხვდით წყალტუბოში?

— ვიცხოვრე რეპრესირებულმა ხან თბილისში ბიძასთან, ხან მოსკოვში, შემდეგ ლენინგრადში... იქ დავოჯახდი... კოვალევსკაია იყო გვარად ჩემი მეუღლე... ბოლოს წყალტუბოში ჩამოვედით, აქ კარგა ხანს კურორტსამმართველოში ვმუშაობდი და ახლა პენსიაზე ვარ... მყავს ერთი ქალიშვილი, რომელიც თავისი ოჯახით (ქმარი ხაჭაპურიძეა) სანქტ-პეტერბურგში ცხოვრობს ჩვენს ძველ ბინაში...

დიდი დარდია ჩემთვის — ხანშიშესული კაცისთვის — ეს ტრაგიკული ამბები, შვილო... აბა, რა დაგიმალო, ხანდისხან დარდს ლექსი ამოჰყვება... ადრე ვწერდი ხოლმე ჩემთვის, ჩუმად... ნახე, თან წამოვიღე რამდენიმე...

ვკითხულობ ძველი აფხაზი თავადის გულით, ალალად ნათქვამ სტრიქონებს: **„მიყვარს ჩემი საქართველო, შავი ზღვა და რიონი, თამარ მეფე და დავითი — შტონი ბაგრატიონის. მიყვარს ჩემი აფხაზეთი, ჩხორთოლი და ოქუმი, ჩემი ტკბილი ოჩამჩირე და კოხტა სოხუმი. მიყვარს ჩემი დედა-ენა, წმინდა სუფთა ქართული, თაყვანსა ვცემ ჩვენს ადათ-წესს — მეჩვენება ზღაპრული..."**

ვკითხულობ და ყელში გორგალი მიჩნდება, თვალები მისველდება... იქნებ, მართლაც ჩვენმა უძველესმა ადათ-წესმა გადაგვარჩინოს?!.

ვილენ მარდალეიშვილი.

• • •

სურათზე: გივი ემუხვარი. ჯავარ ლომაძის ფოტო.

ჩრდილი ადგება აქ, ზურგში

ახლახან თელავის რაიონის საკრებულოს გამგეობის შენობასთან თავი მოიყარეს ორი სოფლის — ნაფარეულისა და წინანდლის მცხოვრებლებმა. ისინი გულისწყრომას გამოთქვამდნენ წინა დღეს თანასოფლელებისადმი ძალადური ქმედების გამო. აი, რა მოხდა იმ დღეს — 24 მარტს:

ნაშუადღევს, თელავში სამხედრო პოლიციის მუშაკებმა სცადეს სახლში მანქანით მიმავალი წინანდლელი გ. მ-ის იძულებით შეჩერება, და დაჭრეს იგი. (აქვე უნდა ითქვას, რომ სამხედრო პოლიციას რეიდის ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ სამოქალაქო პოლიციასთან ერთად). იმავე დღეს, 17 საათზე, სამხედრო პოლიციის მუშაკებმა ნაფარეულში ავტომატური იარაღი ესროლეს გზად მიმავალ [illegible], წინააღმდეგობა გაუწიეს წესრიგის დასამყარებლად [illegible] სამოქალაქო პოლიციელებს, რომელთა ენერგიული მოქმედება რომ არა, ვინ იცის რას მოიმოქმედებდა აღელვებული ხალხი.

როგორც თელავის რეგიონის სამხედრო პროკურორმა გია მიქაძემ გვითხრა, აღნიშნული ფაქტების გამო მიმდინარეობს გამოძიება. შეიძლებოდა ჩვენც აქვე დაგვესვა წერტილი, მაგრამ მომხდარი, ვფიქრობთ, საჭიროებს კომენტარს:

რაიონის მოსახლეობას კარგად ახსოვს, როდესაც, ამ რამდენიმე თვის წინათ, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიციის რეგიონული სამმართველო ფუძნდებოდა თელავში, ადგილობრივი ტელევიზიით გამოსული მისი ხელმძღვანელობა კანონიერების განმტკიცებას პირდებოდა მოსახლეობას. როგორც ვხედავთ, ფაქტები სრულიად საპირისპიროზე მიანიშნებენ. ჩვენ შექმნილი ვითარების გამო პიროვნულად არავის ვადანაშაულებთ. მით უმეტეს, რომ, როგორც გამგეობაში შეხვედრაზე გაირკვა, სამხედრო პოლიცია მრავალ სიძნელეს განიცდის: ოთხი თვეა არ მიუღიათ ხელფასი, მოსაგვარებელია კვების საკითხი. მიუხედავად ყოველივე ამისა, ისინი ვაჟკაცურად იბრძვიან აფხაზეთში. ბევრმა თავი დადო საქართველოს ერთიანობისათვის. სულ ახლახანს თელავის რაიონის სოფელ ლალისყურში მიწას მიაბარეს მალხაზ ბაზნუდანაშვილი, ახალგაზრდა, რომელმაც, გმირული თავგანწირვის ფასად, შეაჩერა სატანკო შეტევა და ამით გადაარჩინა თანამებრძოლნი. მით უფრო სამწუხაროა, რომ ზოგიერთი უღირსის გამო, ბრძოლაში მოპოვებულ სახელს ჩრდილი ადგება აქ, ზურგში.

ზურაბ არსენიშვილი.

ფირმა LGV

ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲑᲚᲘᲒᲐᲪᲘᲔᲑᲡ

როგორც აქციები, ასევე ობლიგაციები არის სახელობითი. თითო აქციის და თითო ობლიგაციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1000 მანეთს.

ობლიგაციები გამოშვებულია ხუთი წლის ვადით, თამაშდება წელიწადში ერთხელ და ყოველი მეათე მომგებიანია. ობლიგაციებს ყოველი წლის თებერვლის თვეში დივიდენდის სახით დაერიცხება ნომინალური ღირებულების 20 %.

აქციები არის პრივილეგირებული. მათი უპირატესობა უბრალო აქციებთან შედარებით მდგომარეობს იმაში, რომ უბრალო აქციებზე დივიდენდი გაიცემა განსაკუთრებულ შემთხვევაში, ხოლო პრივილეგირებულ აქციებზე, კანონიდან გამომდინარე დივიდენდი გაიცემა ნებისმიერ შემთხვევაში, ყოველი წლის თებერვლის თვეში, ნომინალური ღირებულების 30 %-ის რაოდენობით.

აქციების და ობლიგაციების ღირებულება მუდმივ პროპორციაში იმყოფება დოლარის კურსთან. მაგალითად, თუ დოლარის ფასი 500 მანეთია, 10000 მანეთის ღირებულების აქციაში შესაბამისად ჩაიწერება 20 დოლარი. წლიური დივიდენდი ამ შემთხვევაში 6 დოლარის ტოლია. თუ ერთი დოლარის ფასი, მზარდი ინფლაციის პირობებში გახდა 2000 მანეთი, მას შეესაბამება წლიური დივიდენდი (სარგებელი) 12000 მანეთი. ასევე გაიზრდება აქციის ღირებულება 40000 მანეთამდე.

აქციებისა და ობლიგაციების მფლობელების გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი რეგისტრირებულია სააქციონერო საზოგადოებაში, რაც იცავს თქვენ ფასიან ქაღალდებს გაყალბებისაგან და მათი დაკარგვის შემთხვევაში უფლება გეძლევათ მიიღოთ მისი ასლები.

ფასიანი ქაღალდების გამოშვებაში გადახდილი თანხები დაცულია ფირმის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით.

ტელეფონი: 99-92-87; 99-92-74; 99-92-99; 37-11-81.
თბილისი. კანდელაკის 27.
შეგიძლიათ მოგვმართოთ ყოველდღე
9-დან 18 საათამდე.

LGV

„დორნას" ტრიუმფი

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი კალათბურთში ქალთა შორის მოიგო ესპანურმა კლუბმა „დორნამ", რომელმაც ფინალში დამატებით დროში დაამარცხა იტალიის „კომო" — 66:58.

ისევ პაპენი

ფეხბურთში 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი შესარჩევი მატჩი გაიმართა ევროპის VI ჯგუფში. საფრანგეთის ნაკრებმა სტუმრად პაპენის ერთადერთი გოლის წყალობით სძლია ავსტრიელებს და 5 თამაშიდან 8 ქულით სათავეში ჩაუდგა სატურნირო ცხრილს.

მხარი დავუჭიროთ ონელებს

მოგეხსენებათ, რამდენად პოპულარულია საქართველოში სპორტის რაინდული სახეობა — რაგბი. საამაყოა, რომ მის მიმდევართა შორის შეგვიძლია დავასახელოთ მაღალმთიანი რაჭის ახალგაზრდობის ერთი ნაწილიც.

მიმდინარე წელს ონში ადგილობრივი კლუბის, ეროვნული ჩემპიონატის მონაწილის — „ფაზისის" (მოთამაშე-მწვრთნელი ვაჟა რაზმაძე) ინიციატივით განზრახულია საერთაშორისო ტურნირის მოწყობა, რომელშიც მასპინძლებთან და ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ორ გუნდთან ერთად მოსალოდნელია ისრაელის ერთ-ერთი კლუბის ასპარეზობა.

ქვეყნის რაგბის კავშირის წლევანდელ კალენდარში მსგავსი შეჯიბრებისათვის განსაზღვრულია შემდეგი ვადები — 20-24 მაისი, 3-7 ივლისი, 3-7 სექტემბერი, 1-5 ოქტომბერი და 27-31 ოქტომბერი. ყველაფერი დამოკიდებულია მომავალ სპონსორებზე — რაც უფრო სწრაფად გამოეხმაურებიან ისინი ტურნირის ორგანიზატორებს, მით უფრო დაჩქარდება ოვალური ბურთის ოსტატთა შეჯიბრების გამართვა. იმასაც დავძენთ, რომ რეკლამას საქართველოს ტელევიზიის მეორე არხით და ადგილობრივი ტელევიზიით კისრულობენ მასპინძლები.

ვინც საქმით გამოხატავს თანადგომას აღნიშნული მამულიშვილური თაოსნობისადმი, ვთხოვთ, თანხა ჩარიცხონ ონის მოყვარულ მორაგბეთა კლუბ „ფაზისის" ანგარიშზე ონის აგრობანკში. ანგარიშის ნომერია 70005.

ბათუმში შეხვედრამდე

თბილისში დასრულდა საქართველოს ხელბურთელ ქალთა ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის პირველი ტური.

ექვსთა დავაში ქულათა მაქსიმუმი — 10, მოაგროვეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა. დანარჩენ გუნდებს ასეთი მაჩვენებლები აქვთ: თბილისის „მართვე-1" — 8 ქულა, ბათუმის „თოლია" — 6, „ქუთაისი" და ფოთის „კოლხეთი" — 3-3 ქულა თითოეულს და თბილისის „მართვე-2" — 0 ქულა.

შემდეგ ტურს აპრილში უმასპინძლებს ბათუმი.

ჩოგანი

ჭაბუკი ჩემპიონები

თელავში გაიმართა საქართველოს ჭაბუკთა პირველობა ქართულ ჭიდაობაში.

ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს შორის გაიმარჯვეს ხაშურის „მართვეს" წარმომადგენლებმა დ. ბარათაშვილმა, რ. მამულაშვილმა, ვ. გაგნიძემ, ნ. ლაბაძემ და ა. ტალახაძემ, მათმა თანაკლუბელებმა — თბილისელმა ა. მამუკიშვილმა და დედოფლისწყაროელმა ო. უშარიძემ, „შევარდენის" გუნდის წევრებმა — ხაშურელმა ვ. ბარათაშვილმა და ქარელელმა ვ. სიდამონიძემ.

ფიბა-ს სანქციები

როგორც უკვე ვიუწყებოდით, თბილისის „დინამოს" ყოფილი კალათბურთელის ირაკლი ბაქრაძის ახალმა კლუბმა — საბერძნეთის ქალაქ სალონიკის „არისმა" ევროპის თასის მფლობელთა თასი მოიპოვა. ამ დღეებში კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ — ფიბამ განიხილა იტალიის ქალაქ ტურინში თურქეთის „ეფეს პილსენთან" ფინალური მატჩის შემდეგ ორივე კლუბის მოთამაშეებსა და გულშემატკივრებს შორის ატეხილი ჩხუბის ფაქტი და შემდეგი განაჩენი გამოიტანა: ბერძნულ გუნდს, როგორც მუშტი-კრივის წამომწყებს, 2 წლით აეკრძალა ევროპის საკლუბო ტურნირებში მონაწილეობის მიღება და დაჯარიმდა 50 000 გერმანული მარკით.

უძლიერესია პოლ მაკგრატი

ბირმინჰემის პოპულარული კლუბის „ასტონ ვილას" ირლანდიელი მცველი, 33 წლის პოლ მაკგრატი ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის ტრადიციული გამოკითხვის შედეგად დასახელებულია ქვეყნის 1992 წლის საუკეთესო მოთამაშედ.

დაგროვილი ხმების რაოდენობით მეორე ადგილზე „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი პოლ ინსი, ხოლო მესამეზე — „ბლექბერნ როვერსის" თავდამსხმელი ალან შირერი.

მეოთხედფინალში ითამაშებენ

მიმდინარე წლის 16-18 ივლისს ჩოგბურთელ ვაჟთა დევისის თასის გათამაშების მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ავსტრალიის, იტალიის, ინდოეთის, საფრანგეთის, შვედეთის, გერმანიის, ჩეხეთ-სლოვაკეთისა და ჰოლანდიის ნაკრებმა გუნდებმა.

გთავაზობთ მერვედფინალური შეხვედრების შედეგებს: ავსტრალია-აშშ — 4:1, იტალია-ბრაზილია — 4:1, ინდოეთი-შვეიცარია — 3:2, ავსტრია-საფრანგეთი — 1:4; შვედეთი-კუბა — 5:0, რუსეთი-გერმანია — 1:4, დანია-ჩეხეთ-სლოვაკეთი — 1:4, ესპანეთი-ჰოლანდია — 2:3.

მსოფლიო თასი — „ძველ გვარდიას"

დამთავრდა ზამთრის სეზონის უმნიშვნელოვანესი ასპარეზობა — მსოფლიო თასის გათამაშება სამთო-სათხილამურო სპორტში. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის ბადალი არ ჰყავდათ თოვლის ტრასების კორიფეებს — ავსტრიელ ანიტა ვახტერს და ლუქსემბურგელ მარკ ჟირარდელის.

ზვავი რკინიგზაზე

28 მარტს ღამით ზესტაფონ-ჭიათურის რკინიგზის გადასარბენის მე-16 კილომეტრზე ჩამოწვა 400 კუბური მეტრი მოცულობის ზვავი, რომელმაც 18 საათით შეაჩერა მატარებლების მოძრაობა გზის ამ მონაკვეთზე.

ზესტაფონის სალიანდაგო დისტანციის სპეციალისტები და მუშები მთელი ამ ხნის განმავლობაში წმენდნენ გზას, არემონტებდნენ დაზიანებული რკინიგზის ლიანდაგს და ელექტროგაყვანილობას. 29 მარტს საღამოს 19.00 საათზე მოძრაობა აღდგა.

ჰენრი შარიქაძე.

• • •

29 მარტის საღამოს 6 საათისათვის თბილისის მეტროპოლიტენის საბურთალოს მიმართულებით კვლავ შეიქმნა ავარიული სიტუაცია. „ვეძისი-2" რაიონში მიწის სამუშაოთა განხორციელების დროს დააზიანეს სამიდან ორი მაღალი ძაბვის ელექტროკაბელი, რომლებიც სადგურ „დელისის" ენერგომომარაგებას უზრუნველყოფენ. ერთი საათის შემდეგ შემთხვევის ადგილას აღდგენით სამუშაოთა განსახორციელებლად მივიდნენ მეტროპოლიტენის ენერგეტიკოსთა და თბილისის ფირმა „თელასის" ბრიგადები. ავარიის შედეგები ლიკვიდირებულია. ეს ინფორმაცია საქინფორმის კორესპონდენტს მიაწოდა თბილისის მეტროპოლიტენის ენერგოსამსახურის სამმართველოს უფროსმა სერგო რუხაძემ.

• • •

საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში აცნობეს, რომ თელავის პოლიციამ დააკავა ახმეტაში ნინოშვილის ქუჩაზე მცხოვრები ახმეტის აგრობანკის ინჟინერი ბაქარ ბერძენიშვილი, მან ყელში დანის ჩარტყმით მოკლა თელავის რაიონის სოფელ ლალისყურის მკვიდრი მაია მესაბლიშვილი და ბოროტმოქმედების მიჩქმალვის მიზნით გვამი გადამალა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

ამინდი

სითბო. ზენა ქარი...

ხანგრძლივი ზამთრის შემდეგ, გასულ კვირას ნამდვილი გაზაფხული შევიგრძენით. ბუნებამ გაღვიძება იწყო. მცენარეებს კვირტები დაესკდათ და ზოგი მათგანი ნაირფრად შეიმოსა. კოლხეთის დაბლობსა და ზღვის სანაპირო ზოლში 25-28 გრადუსი სითბო აღინიშნა, ქართლსა და კახეთში — 20-24 გრადუსი. ღამითაც კი ყინვები მხოლოდ მაღალმთიანეთშია შენარჩუნებული. თოვლმაც ინტენსიური დნობა იწყო, თუ, მაგალითად, ტყიბულში წინა კვირას მეტრ-ნახევარი სიმაღლის თოვლი იდო, ახლა მისი სისქე 65 სანტიმეტრია. დნობის გამო მდინარეთა წყლიანობამაც მოიმატა.

— როგორი ამინდი გველის ამ კვირას? — ვკითხეთ საქართველოს ჰიდრომეტცენტრის უფროსს ბატონ ჯემალ დოლიძეს.

— ამ კვირას მნიშვნელოვანი ცვლილებები არ არის მოსალოდნელი. კვლავ თბილი, უნალექო ამინდი გვექნება. კოლხეთის დაბლობსა და ზემო იმერეთში დაუბერავს ზენა ქარი, მდინარეთა წყლიანობა კიდევ მოიმატებს, მაღალმთიანეთში კვლავ იქნება ზვავსაშიშროება.

ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის ბაზაზე ჩამოყალიბდა ჟურნალისტთა საერთაშორისო-საინფორმაციო მომსახურების ცენტრი, რომელიც საშუალებას იძლევა თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით გაცვალოთ ინფორმაციები როგორც რესპუბლიკის, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების საინფორმაციო სააგენტოებთან.

ჟურნალისტებს, ვისაც სურვილი აქვთ შეისწავლონ ამ ტექნოლოგიების გამოყენება თავიანთი პროფესიული ინტერესებისათვის, შეუძლიათ მიმართონ საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციას ა. წ. 2 აპრილიდან მისამართზე: **ერეკლეს მოედანი 8, ტელეფონები: 98-24-46, ან 98-88-08.**

სასურველია, ჟურნალისტები ფლობდნენ რომელიმე უცხო ენას.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია.

განცხადება

შაბათს, 3 აპრილს დღის 12 საათზე კინოს სახლის დიდ დარბაზში კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის მიერ წამოყენებული სარეფერენდუმო საკითხების სამივე საინიციატივო ჯგუფი აწყობს შეხვედრას რეფერენდუმის მხარდამჭერებთან და ხელმომწერებთან.

კომერციული ბანკი „კაპიტალბანკი" 30 მარტიდან აწარმოებს საფინანსო ოპერაციებს შემდეგი კურსით:

1. რსფსრ-დან საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორება კოეფიციენტით 3-მდე.
2. ნაღდ მანეთში უნაღდო მანეთის გაცემა კოეფიციენტით 3.
3. ერთ ამერიკულ დოლარს შეიძენს უნაღდო ანგარიშსწორებით 3.800 მანეთად.
4. ერთ ამერიკულ დოლარს გაყიდის უნაღდო ანგარიშსწორებით 4200 მანეთად.
5. ერთ ამერიკულ დოლარს შეიძენს ნაღდი ანგარიშსწორებით 760 მანეთად.
6. ერთ ამერიკულ დოლარს გაყიდის ნაღდი ანგარიშსწორებით 780 მანეთად.

„კაპიტალბანკი" აგრეთვე აწარმოებს კომპლექსურ ანგარიშსწორებას მოსკოვის საკორესპონდენტო და თბილისის ძირითადი ანგარიშებიდან „კაპიტალბანკის" განსხვავებული კურსებით.

ანგარიშსწორება წარმოებს მოთხოვნილებისა და წინადადების თანაფარდობისას და კურსი ყოველდღიურად იცვლება.

ბანკის საფინანსო ოპერაციების კურსი გამოქვეყნდება ყოველი კვირის სამშაბათსა და პარასკევს.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 62,
ტელეფონი: 22-22-27, 29-47-59.
ტელეფონი მოსკოვში — 924-94-82.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის გამგეობა

გაცნობებთ,

რომ მოქალაქეთა ფულადი დანაზოგების ინფლაციისაგან დაცვის მიზნით გამოშვებულია შემნახველი ბანკის **1000, 5000 და 10000 მანეთის ღირებულების სერთიფიკატები**, რომლებიც თავისუფლად იყიდება და მიიღება გასანაღდებლად შემნახველი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

სერთიფიკატები გამიზნულია ფულადი დანაზოგების **10 წლის ვადით** შენახვისათვის. ამ ვადის დაცვის შემთხვევაში თქვენი თანხა **ხუთმაგდება**, ე.ი. სერთიფიკატზე გაიცემა შემოსავალი წლიური გაანგარიშებიდან საშუალოდ **40%**-ის ოდენობით.

შემნახველი ბანკის სერთიფიკატი - ფასიანი ქაღალდია წარმომდგენზე, რომელიც შესანახად შეგიძლიათ მიაბაროთ შემნახველი ბანკის დაწესებულებებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკი გაძლევთ თქვენი ფულადი ოპერაციების ანონიმურობის გარანტიას.

ბანკის გამგეობა შეგახსენებთ, რომ 1991 წლის 1 მარტამდე გაცემულ სერთიფიკატებზე დარიცხულია **კომპენსაცია 40%** და გაკეთებულია **100%-იანი ინდექსაცია**, როგორც ძირითად, ასევე საკომპენსაციო თანხებზე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘᲪ ᲘᲖᲠᲣᲜᲔᲑᲡ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲘᲪᲕᲐᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲜᲐᲑᲠᲔᲑᲘ ᲘᲜᲤᲚᲐᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ხსოვნა

ბორის ხვედელიძე

ქართულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. 77 წლისა გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბორის ვლადიმერის ძე ხვედელიძე.

ბორის ხვედელიძე მათემატიკოსთა იმ ჯგუფის წარმომადგენელია, რომელთა გამოკვლევებმა მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი დაუმკვიდრა ქართულ მათემატიკურ სკოლას. მისი მეცნიერული ინტერესების სფერო მოიცავდა მათემატიკურ ფიზიკას, ინტეგრალურ განტოლებებს და ანალიზურ ფუნქციათა თეორიას. ბორის ხვედელიძის ფუნდამენტურმა შედეგებმა ერთგვარად დაასრულეს სინგულარული ინტეგრალური განტოლებების და ანალიზურ ფუნქციათა სასაზღვრო ამოცანების კლასიკური თეორია და ახალი პერსპექტივები დასახეს მათემატიკის ამ მნიშვნელოვან დარგებში.

ბ. ხვედელიძის სამეცნიერო მოღვაწეობა ძირითადად დაკავშირებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტთან, სადაც იგი მუშაობდა 1942 წლიდან. 1957 წლიდან ხელმძღვანელობდა ამ ინსტიტუტის ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის განყოფილებას, ხოლო 1989 წლიდან გარდაცვალებამდე ეკავა დირექციის მრჩევლის თანამდებობა.

აკადემიკოსი ბ. ხვედელიძე ათეული წლების მანძილზე ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ხელმძღვანელობდა მისივე თაოსნობით ჩამოყალიბებულ მათემატიკურ კათედრებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. დიდი ღვაწლი დასდო ბატონმა ბორისმა აფხაზეთის უნივერსიტეტსა და თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალს, როგორც ამ უმაღლესი სასწავლებლების ერთერთმა წამყვანმა პროფესორმა მათი დაარსების დღიდანვე.

აკადემიკოს ბორის ხვედელიძის — ცნობილი მეცნიერის, ჭეშმარიტი ინტელიგენტის და მხურვალე პატრიოტის ნათელ ხსოვნას სათუთად შეინახავენ მისი მრავალრიცხოვანი მეგობრები, მოწაფეები და კოლეგები.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ; ᲘᲕ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ; ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ; ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ Ა. ᲠᲐᲖᲛᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ.

ჯემალ აფციაური

ქართველ ფილოლოგთა და მწერალთა რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა ჯემალ აფციაური, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

იგი დაიბადა 1940 წელს, ჭაბუკობიდანვე თავისი მოღვაწეობა მშობლიურ უნივერსიტეტს დაუკავშირა — იყო ფილოლოგიის ფაკულტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ასპირანტი, ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი.

ახალგაზრდობიდანვე მან არაერთი თაობა აზიარა ძველი ქართული ლიტერატურის ხიბლს. ყველა, ვინც კი მისი სტუდენტი ყოფილა, კეთილად იხსენებს მას არა მხოლოდ როგორც ლექტორს, არამედ როგორც მეგობარს.

პროფ. ჯ. აფციაური არაერთი წიგნის, მონოგრაფიის ავტორია. მის კალამს ეკუთვნის არამარტო აკადემიური ნაშრომები ქართული ლიტერატურის სხვადასხვა პრობლემაზე, არამედ პროზაული ნაწარმოებები და მძაფრი პუბლიცისტური სტატიები...

მისი ნათელი ხსოვნა დარჩება კოლეგების, სტუდენტების, მკითხველების, ყველა იმის გულში, ვისაც კი მასთან ჰქონია ურთიერთობა.

ᲘᲕ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ; ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ; ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲐ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 77 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექციის მრჩეველი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბორის ვლადიმერის ძე ხვედელიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, მექანიკა-მათემატიკის და უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი

ბორის ხვედელიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საინფორმაციო-საგამომცემლო კორპორაციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გელა ტატიშვილს ძმის **გოგი ტატიშვილის** გარდაცვალების გამო.

მოქალაქეებისა და საქმიანი წრეების საყურადღებოდ!
"თბილკომბანკი" "TBILCOMBANK"

ᲡᲐᲓᲔᲞᲝᲖᲘᲢᲝ ᲡᲔᲠᲗᲘᲤᲘᲙᲐᲢᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲡᲐᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲝ ᲒᲐᲜᲐᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲗ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲘᲪᲐᲕᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲓᲐᲜᲐᲖᲝᲒᲡ ᲘᲜᲤᲚᲐᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ.



ᲓᲐᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲪᲔᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐᲓ ᲙᲝᲜᲕᲔᲠᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲗ ᲡᲔᲠᲢᲘᲤᲘᲙᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲦᲓᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲫᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ.

ᲡᲔᲠᲗᲘᲤᲘᲙᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲐ 10 000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.

"თბილკომბანკი" აწარმოებს გადმორიცხვებს რუსეთიდან და უკრაინიდან საქართველოში.

"თბილკომბანკი"-ს რეკვიზიტებია: ა/ნ N700161513 საქ. ეროვნული ბანკი, მფო 522867
მისამართი: თავისუფლების მოედანი შ.დადიანის ქ. N2 (მე-3 სართული).
ტელ. 98-53-97; 98-47-70.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

⬭ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
⬭ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 89.
ტელეფონი — 34-78-40.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66454